№ 13 1932 წ. 30 სექტემბერი ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკის—დიდ პროლეტარულ მწერალს, სოციალიზმისათვის დაუღალავ მებრძოლს, სოციალისტური მშენებლობის დამკვრელს—**მხურვალე სალამი!**

ფოტო-



მარცხნივ — ლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის „თავისუფალი შეკვარდენის" ბრძმედი № 1 და კაუპერები. მარჯვნივ — ქერჩის მეტალურგიული ქარხანა. ანალი მძლავრი ჰაერის საბერველის მეორე კოლონის დადგმა.

ამხ. ჩაპლიგინი, რიკოვის სახელობის ქარხნის (დონბასი) № 5 მარტენის დამკვრელი — ფოლადის მდნობი.



კოსოგორის (ტულის რაიონი, მოსკოვის ოლქი) მეტალურგიულ ქარხანაში ამუშავდა ბრძმედი № 3.



სტერლიტამაკის (ბაშკირეთი) ნავთის სარეწაოების ერთ-ერთი პირველი დამკვრელი ამხ. მიხაილოვი.



მაქსიმ გორკის

ჩვენი სალამი
ჩვენს „შევარდენს“,
ჩვენს მაქსიმ გორკის,
რევოლიუციის
ქარიშხალის
დიდ წინამორბედს,
ვინც ძველ რუსეთში
მხნედ იტანდა
ციხეს და ბორკილს,
ვინც თავს ესხთოდა
რეაქციის
ყვავ-ყორან-ოხებს!
ჩვენი სალამი,
ვინც ანთებულ
ჩირაღდნით ხელში,
ბრძოლის სიმღერით
წინ უძღოდა
მუშათა მასებს,
ვინც ჩვენთან იყო
დიდ ტანჯვაში,
დიდ განსაცდელში,
რომლის სახელი
დღესაც გმირულ
გრძნობებით გვავსებს!
ჩვენი სალამი
ჩვენს მებუკეს,
ჩვენს მენაღარეს,
რომლის დაფდაფიც
იტაცებდა
მამაცთა გულებს;
ვინც დიდ ბრძოლებმა
გაათეთრეს,
გააჭაღარეს,
ვისი მკვეთრი ხმაც
ამხედრებდა დამონებულებს!
ჩვენი სალამი
და მადლობა
ბოლშევიკ-მწერალს,
დიად ოქტომბრის
მახარობელს
და მის მომღერალს!

1 გ.ქუჩიშვილი.

მ. გორკი 1892 წ. როცა დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“.

მ .ბორკი—ნახ. მხატვარ ს. ვ. ჩეხონინის

გორკი—ქარიშხალა

ევროპა მყაყე უყვირის გორკის:
„არ შემოუშვათ იგი ამსტერდამს!
კაცი, რომელიც ყლაპავდა ბორკილს,
რა იმედია, რომ ჩვენც არ შეგვჭამს!..
მოჰყავს საბჭოთა დელეგაცია
ომის მომსპობელ რაღაც კონგრესზე,
ჩვენ ვიცით, გორკი თუ რა კაცია:
არ წამოვეგოთ ამ ის ანკესზე!
იგი საბჭოთა ქვეყანას ჰფარავს
და უნდა ჩვენი ციხის დანგრევა,
ჩვენც მშვიდ ბატკნების უვნებელ ფარას
გვეშინის მისგან თავის დაზღვევა!
ვერც შეველევიან ომს და სატევარს,
სანამ ბოგინობს საბჭოთა მხარე,
გვინდა იმისკენ საწევ-სატევათ
დათმობა მათთვის არც ერთი მისხლის!..“
და ბრდღვინავს აი ეს მხეცი ჩიხში,
პირს და კლანჭებს ლაქებს სისხლის!..
მაგრამ დიდია გორკიში ძალა,
ვით ზღვის ბსკერიდან — ზედაპირამდე,
იგია ჯანყის მძლე ქარიშხალა,
რომ მხეცი უნდა გადაყირავდეს!..
ევროპა მყაყე, ევროპა ძველი
უნდა ძველოს რუსეთს გაჰყვეს და ბორკილს;
მოდის ახალი ქვეყანა, ვრცელი,
და მისი დროშაც უპყრია გორკის!
იგი შვილია მშრომელი ხალხის
და მასთან — ლაღიც, ვით ქარიშხალა,
მის სავალ გზაზე ხიდეს რომ აჰყრის,
განა, სადმეა ისეთი ძალა?!
ამაოდ ლამობს ევროპა—მყაყე,
რომ შეუზღუდოს სავალი გორკის,
გული აქვს ბილწი და ტვინიც—ლაყე,
რომ ეფარება ხავსსა და ბორკილს!
მძლედ დაირხევა ზღვის ქარიშხალი!
ხავსსა და ბორკილს რაღა აქვთ ძალა?
ზვირთს ქვეშ მოჰყვება იმათი კვალი;
გორკია ამის მძლე ქარიშხალა!..

ნ. ზუმლეთელი.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲘ

შესრულდა საბჭოთა კავშირის და მსოფლიო მუშათა კლასის უსაყვარლესი მწერლის — **მაქსიმ გორკის** ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წელი.

საბჭოთა კავშირის ათეული მილიონი მშრომელები, დასავლეთის მრავალრიცხოვანი პროლეტარები და მოწინავე ინტელიგენცია მხურვალე მისალმებებით შეხვდენ ჩვენი დროის უდიდეს რევოლუციონურ მწერალს, რომელიც თავისი მახვილი კალამით და მხატვრული სიტყვით 40 წელიწადია ემსახურება მშრომელთა განთავისუფლების საქმეს.

გორკის, როგორც სიტყვის ოსტატისა და საზოგადოებრივი მოღვაწის უდიდესი გამარჯვება უზრუნველყოფილია იმით, რომ ის **„თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობასთან“ (ᲚᲔᲜᲘᲜᲘ).**

გორკი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როცა რუსეთის მცირერიცხოვანი მუშათა კლასი თავისი ძლიერ მცირე მოწინავე ავანგარდის სახით აკეთებდა პირველ ცდებს საკუთარი კლასობრივი ორგანიზაციების შექმნის გზაზე. გორკიმ თავის მხრებზე გადაიტანა დუხჭირი ცხოვრება, რომელიც მის გარშემო იყო გამეფებული, ის ხედავდა, თუ როგორ ითვისებდა მუშის ნაოფლარს ვაჭარი და კაპიტალისტი თუ როგორ სწოვდენ სისხლს მშრომელ გლეხობას კულაკი და სოფლის ადმინისტრაცია, თუ როგორ ახშობდა და ჰკლავდა ყოველივე ცოცხალ აზრს მეფის მთავრობა თავისი მინისტრებით, გუბერნატორებით, ჟანდარმებით და პოლიციით. მრავალი ჯგუფი და წრე, ჩემულობდა ჩაგრულთა და გაყვლეფილთა პროტესტის გამომხატველის როლს, მათ ხელმძღვანელობასა და მეთაობას. მაგრამ გორკი, რომელიც სხვადასხვა წრეების და არალეგალური ლიტერატურის საშუალებით ეცნობოდა მარქსიზმს. მიხვდა, რომ მხოლოდ მუშათა კლასს და მის პარტიას შეუძლია მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის, ახალი — უკეთესი, ადამიანური ცხოვრებისათვის ბრძოლის მეთაურობა და გორკიც თავისი შემოქმედებით მტკიცედ დაუკავშირდა მუშათა კლასს.

რუსეთის მუშათა კლასმა ზრდისა და განვითარების უდიდესი გზა გაიარა იმ დღიდან, როცა ლენინი პირველ საძირკველს უყრიდ, პარტიას და სჭედდა ბოლშევიკების რკინისებურ რიგებს. მუშათა კლასთან და მის ავანგარდთან — ბოლშევიკურ პარტიასთან ერთად იზრდებოდა და ვითარდებოდა გორკი, როგორც მწერალი და რევოლუციონერი.

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან გორკი გადაიქცა მშრომელთა და გაყვლეფილთა პროტესტის გამომხატველად, მოახლოებული რევოლუციის გრიგალად. პირველი მარქსისტული წრეების სკოლის გავლამ გორკი მჭიდროდ დაუახლოვა რუსეთის სოციალდემოკრატიის რევოლუციონურ ფრთას — შემდეგში ბოლშევიკურ პარტიას, რომელსაც მეთაურობდა ლენინი. ბრძოლა მუშათა კლასის რიგებში ამახვილებდა გორკის მხატვრულ კალამს, შლიდა მის შემოქმედებას.

გორკის დიადმა ნიჭმა, მისი შემოქმედების პროლეტარულმა ხასიათმა ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალა ბურჟუაზიული ინტელიგენტების თეორიებს, რომლის თანახმად პროლეტარიატი უნდა ყოფილიყო ლიბერალური ბურჟუაზიის მაჩანჩალა, რომლის თანახმად პროლეტარიატს ხელი უნდა დამოუკიდებელი კლასობრივი და პარტიული ორგანიზაციების შექმნაზე, საკუთარი კლასობრივი პოლიტიკის გატარებაზე რადგან მას, ვითომ, არც საამისო უნარი ჰქონდა და არც ცოდნა და, რასაკვირველია, ოცნებაც არ შეეძლო საკუთარი სიტყვის თქმაზე კულტურისა და ხელოვნების დარგში. ბურჟუაზიას არ შეეძლო არ დაენახა, რომ გორკის სახით პროლეტარიატს გაუჩნდა სიტყვის უდიდესი ოსტატი, რომელიც თავისი შემოქმედებით ხელს უწყობს ათასეულთა და ასიათასეულთა დარაზმვას თვითმპყრობელობისა, მემამულეთა და ბურჟუაზიის დასამხობათ. დაშინებულმა 1905 წლის რევოლუციის მძლავრი გრიგალით, რომელმაც დაამტკიცა, რომ რუსეთის პროლეტარიატი სავსებით მომწიფებულია არა თუ დამოუკიდებელი კლასობრივი ბრძოლისათვის, არამედ ძალაუფლების აღებისათვისაც, ბურჟუაზია გადავიდა თვითმპყრობელური რეაქციის მხარეზე, შეუთანხმდა მას და მასთან ერთად უსასტიკესი ბრძოლა გამოუცხადა მუშათა რევოლუციონურ მოძრაობას. და გასაკვირი არ არის, რომ მან გორკიც გამოაცხადა „გათავებულ“ მწერლად, ყოველგვარ მხატვრულ შემოქმედებას მოკლებულ ადამიანად.

მ. გორკი 1900 წ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ რუსი მენშევიკები გორკის ამგვარ შეფასებაში ბევრად არ ჩამოუვარდებოდნენ ბურჟუაზიულ კალმოსნებს. საკმაოა გავიხსენოთ შეფასება, რომელიც პლეხანოვმა მისცა გორკის „დედა“-ს — ამ უდიდეს საერთაშორისო პროლეტარულ ნაწარმოებს, რომელშიაც გორკი გამოსთქვამდა თავის ურყევ რწმენას. პროლეტარიატის ძალებისადმი, რევოლუციის გამარჯვებაში. პლეხანოვმა, რომელმაც დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ მის წერილებში სხვა ვერაფერი ნახა სათქმელი, გარდა იმისა, რომ „არ უნდა მოგვეკიდნათ ხელი იარაღისათვისო“, „დედა“ გამოაცხადა გორკის ყველაზე სუსტ ნაწარმოებათ. პლეხანოვი უკმაყოფილო იყო, რომ გორკის ბოლშევიკები მიაჩნია ყველაზე გმირულ, ყველაზე თავდადებულ მებრძოლებათ, რომ მისი სიმპატიები ბოლშევიკების მხარეზეა. ლენინი კი, პირიქით, თვლიდა, რომ „დედა“ აკეთებს უდიდეს პარტიულ საქმეს, ზრდის რევოლუციისათვის მებრძოლთა ახალთაობას. „ბევრი მუშა რევოლუციაში მონაწილეობდა შეუგნებლად. სტიქიურად,—სთქვა ლენინმა გორკისთან საუბარში „დედა“-ს შესახებ,—და ახლა მათ „დედა“-ს წაკითხვა დიდ სარგებლობას მოუტანსო“.

„მ. გორკი უსათუოდ არის პროლეტარული ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა მისთვის და კიდევ უფრო ბევრის გაკეთება შეუძლია“-ო.

სწერდა **ვ. ი. ლენინი 1910 წ.** გორკის „დედა“-ს და „მტრები“-ს გამოსვლის გამო.

პლეხანოვის შეფასების განმეორებას წარმოადგენდა გორკის შეფასება სხვა მენშევიკების (ნევედომსკი, პოტრესოვი, გერმანელი და სხვ. მენშევიკები) და ტროცკისა და ტროცკისტების მხრივ.

მაგრამ გორკი იმის წყალობით, რომ ის გამოსული იყო მასებიდან, კარგად იცნობდა ამ მასების სულისკვეთებას, მის შეუნელებელ სიძულვილს მყვლეფელებისა და მჩაგვრელებისადმი, მის დაუღალავ მისწრაფებას პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისაკენ, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იყო და არის იმათთან, ვინც ყველაზე უკეთ გამოხატავდა და გამოხატავს მასების ამ განწყობილებასა და სულისკვეთებას — იყო და არის ბოლშევიკებთან.

საუკეთესო პასუხს გორკის ბურჟუაზიულ და მენშევიკურ ტროცკისტულ შეფასებაზე წარმოადგენს ის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც სარგებლობდა და სარგებლობს გორკი პროლეტარიატის მილიონიან მასებში, ის უდიდესი ინტერესი. რომელსაც ყოველი მისი გამოსვლა და ნაწერი იწვევს ფართო მასებში.

1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ იწყება გორკისათვის ემიგრაციის ხანგრძლივი წლები მაგრამ იქაც. უცხოეთშიც, გორკი რუსეთის მებრძოლ მასებთან ერთად არის. მისმა მაშინდელმა პოლიტიკურმა პამფლეტებმა, რომლებიც მიმართუ-



მ. გორკის ავტოგრაფი

ლი იყო კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგ, მთელი ქარხალი გამოიწვია უცხოეთში, განსაკუთრებით მისმა პამფლეტმა: „მშვენიერი საფრანგეთი“, რომელშიაც გორკი ილაშქრებდა საფრანგეთის მიერ რუსეთის თვითმპყრობელობისათვის სესხის მიცემის წინააღმდეგ.

„რუსეთის რევოლიუცია.—განუცხადა გორკიმ საფრანგეთის ისტორიკოს ოლარს.—ნელა და დიდი ხნის განმავლობაში განაგრძობს განვითარებას. მაგრამ იგი ხალხის გამარჯვებით დამთავრდება. ძველი საფრანგეთის მაგალითის მსგავსად, ჩვენ თავს მოვკვეთავთ პარაზიტიზმის გიდრას. მაგრამ შევეცდებით სხვაში არ წაებაძოთ დიდ საფრანგეთს... მი სახიში შევათორთხე ბანკების და ფინანსისტების საფრანგეთს... მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის ხალხი არ დაუბრუნებს საფრანგეთს სესხებს, რომლებიც მას უკვე გადახდილი აქვს თავისი სისხლით.

არ დაუბრუნებს“.

გორკი მარტალი გამოდგა. ბოლშევიკების მეთაურობით გამარჯვებულმა მუშათა კლასმა არ დაუბრუნა საფრანგეთის ბანკირებს სესხები, რომლებიც მათ ნიკოლოზ მორეს მისაცემ რევოლიუციასთან საბრძოლველად და სხვადასხვა ავანტიურებისათვის.

ამ თავის პამფლეტებში გორკი გვეუბნება როგორც საერთაშორისო რევოლიუციონერი ისე, როგორც საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა ბოლშევიზმს, რომელთანაც გორკი დაკავშირებული იყო დღიდან მისი წასახვისა.

მსოფლიო ომის დროს, რომელიც უდიდეს გამოცდათ გადაიქცა მთელი საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობისათვის, როცა მეორე ინტერნაციონალის ბელადები წარბშეუხრელად გადაბარგდნენ იმპერიალიზმის ბანაკში, გორკი დარჩა ბოლშევიზმის მხარეზე, ომის წინააღმდეგ მებრძოლთა მხარეზე.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გორკი დარჩა ბოლშევიკურ პარტიასთან, მასებთან, რომლებიც სიმშილის, სტატვლის, სცენის მიუხედავათ, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი ქვეყნიერება აღსდგა მათ წინააღმდეგ, გმირულად იცავდნენ მოპოებულ თავისუფლებას. ვის არ ახსოვს, თუ როგორის ენერგიით უწყობდა ხელს გორკი საბჭოთა ხელისუფლებას სამოქალაქო ომის წლებში მეცნიერთა და კულტურის მუშაკთა დახმარების საქმეში. ვის არ ახსოვს გორკის ბრწყინვალე გამოსვლები უცხოეთში საბჭოთა კავშირის დასაცავად. საერთაშორისო ყაჩაღების და კონტრრევოლიუციონური ხროვის წინააღმდეგ, რომელიც აშზადებს თავდასხმას საბჭოთა კავშირზე.

გორკიმ თავისი ავტორიტეტისა და სიტყვის საშუალებით შესძლო გამოეწვია სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებში, გამოიწვია მათში საბჭოთა კავშირის უფრო ღრმად და ობიექტიურად შესწავლის სურვილი, რის შედეგადაც ევროპისა და ამერიკის ყველა ქვეყნების ინტელიგენციაში დაიწყო მძლავრი მოძრაობა საბჭოთა კავშირთან დაახლოვების სასარგებლოდ, იზრდება და ფართოვდება სოციალისტური ქვეყნის მეგობართა რიცხვი.


№ 242

Тифлисъ

Дворцовая ул., д. Тифл. двор. зем. банка.

МАКАРЪ ЧУДРА.

Усиливался дождь

ный и торжественный

врачный и торжественный—Ловко

парк красавцевъ пылкихъ—Ловко

Раздѣ, почерпи старого сѣдыя

А они обѣ пружились

плавно и безмолвно, и цѣлыя

красавецъ-пѣвецъ Ловко

горой Радов...

М. Горькій.

М. გორკის 1-ლი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, რომელიც დაიბეჭდა გაზ „კავკაზ“-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის განმავლობაში გორკი იყო მუშათა კლასთან ერთად, მოუწოდებდა მას ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ. ახლაც ის იმყოფება ჩვენი გიგანტური მშენებლობის მოწინავე რიგებში, მოუწოდებს ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე და დაუღალავად ამხელს იმპერიალისტურ მტაცებლების გეგმებს, მოუწოდებს საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ.

სწორედ იმიტომ, რომ გორკი იყო მშრომელი მასების სისხლი სისხლთაგანი და ხორცი-ხორცითაგანი. იმიტომ, რომ ის მუდამ იყო მუშათა კლასის ბრძოლის ერთგული, უყვარდა იგი ლენინს და მიტად აფასებდა მას. ამიტომ უყვარს იგი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მილიონ პროლეტარებს, ამიტომ არის, რომ მისი 40 წლის იუბილე გადაიქცა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ზეიმად.

ე. ფ—ძე.

ლენინი და გორკი

ვლადიმირ ილიჩის დამოკიდებულება გორკისადმი იყო გამსჭვალული უღრმესი სიყვარულით. ლენინი არა მარტო აფასებდა მასში დიდ რევოლიუციონურ მწერალს, დაჩაგრულ სოციალურ ქვეფენების მკვიდრ შვილს, რომელმაც მიაღწია მბატონურულ შემოქმედების მწვერვალებს, რომ იქიდან ჭიშმარიტი ნიჭის ზარივით დაეგუგუნებია მთელს მსოფლიოში. მას აგრეთვე უყვარდა, როგორც ადამიანი, მეგობარი.

წაიკითხეთ ლენინის წერილები გორკისადმი. დაწერილი 1913 წელს, როცა ორივე იყვნენ ემიგრაციაში. გორკი კი ავად იყო („ლენინის კრებული“ № 1). რამდენი გულთბილი მზრუნველობაა მათში.

„ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძე!

რა არის, რომ თქვენ, ჩემო კეთილო, ცდათ იქცევით? ძლიერ ბევრს მუშაობთ, დაიღალეთ. ნერვები გტკივათ. ეს სრული უწესრიგობაა. თქვენ თავს აღარ უვლით? არ ეარგა ასე, არ ეარგა. მოჰკიდეთ თქვენ თავს ხელი და დააწესეთ „პრიეემი“ (რეჟიმი), რაც შეიძლება უფრო მკაცრი, ასე კარგი იქნება, დამიჯერეთ! ახლანდელ დროში ავადმყოფობა დაუძღვენელი რამეა. ღამით ხომ არ მუშაობთ? მე რომ ვიყავი კაპრიზე, ამბობდით, რომ მე შემომჭონდა უწესრიგობა. ჩემს ჩამოსვლამდე კი დროზე წვებოდით. უნდა ფიქრეენოთ უსათუოდ“.

მეორე წერილში კი უფრო მეტის შიშით:

„მოიწერეთ **როგორ ხართ**, დაბეჯითებით გთხოვთ **სერიოზულად მოჰკიდოთ ხელი მკურნალობას**, — დამიჯერეთ — განკურნება **სავსებით შეიძლება**, ავადმყოფობისათვის ყურის არ თხოვება უფერთოობა და დანაშაულია“ (ყველგან ხაზგასმულია ლენინის მიერ).

ან ერთ ადგილი თანაგრძნობის და მზრუნველობის მიუხედავათ (უფრო სწორად, რომ ვსთქვათ, ამ თანაგრძნობის და მზრუნველობის გამო) ლენინი **იმავე წერილებში** მეგობრული კილოთი, მაგრამ არსებითად მეტად სასტიკად ესხმის თავს გორკის იდეურ გადახრებს.

გორკი მაშინ ეფლობოდა იდეალისტურ ჭაობში. იგი გაიტაცა „ღმერთის ძიებამ“, ახალი რელიგიის, ადამიანის უმაღლეს მის წრაფებათა და ემოციების გაღმერთების აზრმა. ლენინი მხურვალედ ჰკიცხავს „გაწმენდილ ღმერთის“ ამ იდეოლოგიის მთელს მავნებლობას. გულის ტკივილით ხედავს ის გორკის „აღსარების“ გამოსვლას, რომელშიც (გამოსვლის „ღმერთის ძიების“ მიდრეკილება.

„რატომ შვრებით თქვენ ამას“ საშინლად საწყენია“! — სწერს ლენინი.

სასტიკი გაკიცხვა გამოიწვია ლენინის მხრივ გორკის დაახლოებამ „ეპერიოდოვცებთან“ — „ლიკვიდატორებთან მარცხნიდან“ პოლიტიკაში და მატერიალიზმის მოწინააღმდეგეებთან ფილოსოფიაში. გორკი იყო ამ ჯგუფის ერთ-ერთი მეთაური და მასი ფრთის ქვეშ მოეწყო კაპრიზე „ეპეროდოვცების“-ს ფრაქციული შკოლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ლენინის იერიში გავლენას ახდენდა. 1913 წ. ოქტომბერში გორკიმ გამოაქვეყნა პროტესტი მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიერ დოსტოევსკის ანტირევოლიუციონური რომანის „ეაჯიების“ ინსცენირების წინააღმდეგ. ლიბერალურმა პრესამ, რასაკვირველია, ერთი ხმაგაში ასტეხა გორკის წინააღმდეგ. ლენინი, პირიქით, ამ წერილმა გაახარა ერთი ადგილის გამოკლებით, სადაც ლაპარაკია, რომ „ღმერთის ძიება“ **დროებით** უნდა გადიდოს. „მხოლოდ დროებით?“ — ეკითხებოდა ლენინი გორკის წერილში, — განა ეს საშინელება არ არის, რომ თქვენ ამგვარ რამეს ამბობთ?“.

და აი, ამ წერილის (პროტესტის) გადაბეჭდის დროს სამი წლის შემდეგ გორკიმ ამოიგდო ეს ადგილი.

მაგრამ ყველა ეს პოლიტიკური შეცდომები და იდეური მერყეობა არას დროს არ ჩრდილავდა ლენინის წინაშე თვით გორკის, კალმის დიდ ოსტატს, **„პროლეტარიული ხელოვნების უთუოდ უდიდეს წარმომადგენელს“ (ლენინი** „პუბლიცისტის შენიშვნები“)

იმავე წერილში, რომელშიც ლენინს განმანადგურებელი იერიში მიაქვს „ეპეროდოვცების“ პოზიციებზე, ის სწერს, რომ მათი პლატფორმა არ არის მთლიანად უარყოფითი. არის ზოგი რამ დადებითიც. „ეს დადებითი **შინაარსი შეიძლება გამოი-**

უცხოელი მწერლები გორკის შესახებ*)

რომენ როლანი

გორკის სახელი ჩემთვის სიყრმიდანვე მეგობრის სახელია. ჰასაკით უმცროსი, მე იგი უკვე მაშინ მეჩვენებოდა უფროსად, ეინიადან მისი სახელი ბრწყინავდა დასავლეთში, როცა მე მხოლოდ ვიწყებდი წერას. მე სადღაც უკვე მიამბნია, რომ მისი პორტრეტი, სადაც ის გადაღებულია ტოლსტოისთან ერთად იასნაია პოლიანაში, მხოლოდ იგი ამშვენებდა ჩვენს პატარა სარედაქციო ოთახს „Cahiers de la Quin zaine" სადაც ახალგაზრდა ჟან კრისტოფმა და გმირულმა ჰეკენმა დაიწყეს თავისი თხუთმეტწლიანი ბრძოლა „Foire sur la place de Paris et du monde"-ს წინააღმდეგ ეს სურათები იყო ჩვენი დამოუკიდებლ[illegible] ბისა და სიმართლის მფარველი.

რაც მე ახლა, ისე, როგორც მაშინ, ყველაზე უფრო მაოცებს გორკის ხელოვნებაში—ეს არის მისი ხედვის საკვირველი გარკვეულობა, რომელიც ანსხვავებს მას სხვა დიდ რუს მწერლებისაგან. მისი თვალი მსგავსია ტბისა, რომელშიაც ყველა მოვლენები — ხალხი, ნივთები—ისახება უფრო ნათლად, მკვეთრად და მკაფიოდ, ვიდრე არის სინამდვილეში. იმ დროს, როცა გული და გრძნობები გამუდმებით შერყეულია შინაგანი და გარეგანი ქარიშხალებით, — ვინაიდან მხატვართა ძლიერ მცირე რიცხვი განიცდის ასე მწვავედ მოვლენებს და ურთიერთის საწინააღმდეგო შეგრძნობათა გავლენას.—ზმანება კვლავინდებურად პლასტიური რჩება. თვალი მისი არის ქარებისაგან დაცული მთის ტბა, რომელმაც არ იცის ამღვრევა. მისი თვალის ბადურა უცვლელად ინახავს სახეებს, ხილულს ათი და ოცდაათი წლის წინათ. ხედვის ეს შესანიშნავი სიცხადე აზრების ვრიგალებში — უმდიდრესი ბუნებრივი ნიჭია.

თხუთმეტი წელიწადია. განსაკუთრებით ომის დამთავრებისა და რევოლიუციის ეპოქიდან, პირადათ ვიცნობ გორკის და თითეული მისი წერილი ჩემთვის წარმოადგენს სიმხნევის მაცოცხლებელ წყაროს. როგორი წყურვილი სწავლის! როგორი სიდიადე აზრის, როგორი მარადი სიახალგაზრდავე გონების? გრძნობ, რომ ეს გენიალური მოხეტიალე, ეს მსოფლიო ყარიბი ყოველ საათში მზად არის აიღოს თავისი კვერთხი და კვლავ გაიაროს დედამიწის გზები, რომ თანამესაუბრეთა უფრო და უფრო მეტ რიცხვს გაუზიაროს თავისი აზრები და თავისი გულის ნადები, მათაც გაუადვილოს ცხოვრების ტვირთი. მისთვის ყოველთვის უცხო იყო ის მდგომარეობა განურჩევლობისა, რომელიც ღრუბელივით აწევს დასავლეთის მრავალ საუკეთესო გონებას, დაღლილებს და გულგრილთ. როგორც ბუნება. ის კვლავ იბადება ყოველი დილით.



სახლი ნიჟნი ნოვგოროდში, სადაც 1901 წ. ცხოვრობდა გორკი. ამავე სახლში 1888 წლიდან 1896 წლამდე ცხოვრობდა ვ. გ. კოროლენკო.

რა საჭიროა მისთვის მისი 60 წლის მოგონება? წლების რიცხვი — არის საზომი, გამოსადეგი მხოლოდ დაღლილი ევროპის შეილების მიმართ. ისინი გზაში გამოვიდნენ მცირე საგზალით და, მისი აღრეურვის შემდეგ იკვებებიან იმედით, რომ შეავსებენ მას მშრალი ინტელექტუალურობით. გორკის კი ბუნების მარად ახალი ძალების თავისი წილი მოაქვს - [illegible] ხდომიერ[illegible]-დან, დაისისა და აისის მარად რიტმისაგან. ახლა იგი უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ორმოცი წლის წინ, ვინაიდან, იქორწინა თავის ახალგაზრდა, განთავისუფლებულ ხალხთან. ეს გახდა მისთვის ახალგაზრდობის დაუშრეტელი წყარო. ამ საათში მე ვზეიმობ არა მისი დაბადების 60 წლიწადს, არამედ მის სულიერ კავშირს ახალგაზრდა რუსეთთან. დეე, მათმა მშვენიერმა შეილებმა მოუტანონ ქვეყნიერებას ბედნიერება და განახლება.

*) კრებულიდან „თანამედროვე დასავლეთი გორკის შესახებ".

ჰანრი ბარბიუსი

მაქსიმ გორკის მე ვთვლი ერთ-ერთ უკელაზე მნიშვნელოვან მწერლად, შესაძლოა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მწერლად ჩვენი, სოციალური თვალსაზრისით, ეს ,ჩემის აზრით, პირველყოვლისა გამომდინარეობს მისი შემოქმედების გავლენისა და სიმძლავრისაგან. მრავალ მწერალს აუწერია დამცირებულთა და მაწანწალების ცხოვრება და ხვედრი, მაგრამ არ[illegible]ს არ უქნია ეს ისეთის სისრულითა და [illegible]რმით, როგორც გორკის. მასთან—ეს[illegible] არის ძლიერ დიდი მწერლების თვისება—დეტალი ემატება დეტალს, გროვდება და დასასრულ იქმნება მთელი, რომელიც თავისი სიფართოვითა და სილრმით დომინირობს მის თანამედროვე ნაწერებზე, როგორც მსგავს თემებზე, ისე ყველა დანარჩენებზე. გორკი გვიზიდავს არაიმდენად ვირტუოზობით, მხატვრული ტეხნიკის დარგში — შესაძლოა არიან სხვა მწერლები უფრო დახელოვნებულნი — რამდენადაც ცხოვრების იმ სინთეზით, იმ ორგანიულად მთლიანით, რომელსაც წარმოადგენს მისი თითეული წიგნი.

ამასთან ერთად, ღარიბ და პატარა ხალხის ცხოვრების ამ მეთვალყურის ევოლიუციის დიდი ვრუდი, მრუდი, რომელმაც შებრალებისა და ამბოხის უწესრიგობიდან მიაღწია რევოლიუციონური ორგანიზაციის უფრო და უფრო ნათელ კონცეპციამდე, გვიჩვენებს. თუ რამდენად მუდამ შესანიშნავად ცხოველმყოფელია გორკი. ვხმარობ გამოთქმას, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, როცა შეიცავს განახლების ასეთ გაქანებას: იგი ყოველთვის პროგრესიული განვითარების გზით მიდის.

ჩატოს ერთი სიტყვით: მ. გორკი", და შეიდეგ:

„გორკი ავტორიტეტია პროლეტარულ ხელოვნებაში. ეს უდავოა. მიუხედავათ მისი თანაგრძნობისა ოტზოვიზმი სადმი, პროლეტარული ხელოვნების საქმეში მ. გორკი არის უდიდესი „პლიუსი".

მაქსიმ გორკის, როგორც მხატვრის სახით, ლენინი ხედავდა მძლე თანამებრძოლს, რომელიც მხატვრული სიტყვის საშუალებით ებრძვის იმავე მტრებს, რომელსაც ებრძოდა ბოლშევიზმი.

„ამხანაგი გორკი, — სწერდა **ლენინი** ბურჟუაზიული პრესის ჭორის საპასუხოთ გორკის გამორიცხვის შესახებ სოციალ - დემოკრატიული პარტიიდან, — **თავისი მხატვრული ნაწერებიდ[illegible] მტკიცედ არის დაკავშირებული რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობასთან".**

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლენინი არ ანცალკევებდა პირად ურთიერთობას პოლიტიკურისაგან და გადაჭრით სწყვეტდა პირად კავშირს ყოფილ ამხანაგებთან, რომლებთანაც პოლიტიკური უთანხმოება აშორებდა. სულ სხვა იყო გორკის მიმართ, სიყვარული მისდამი უცვლელი რჩებოდა. უთანხმოების მიუხედავათ 1908 წ. აპრილში ლენინი აპირებდა კაპრიზე გამგზავრებას და პირობათ აყენებდა მხოლოდ იმას, რომ არ ყოფილიყო ლაპარაკი რელიგიაზე და ფილოსოფიაზე. 1921 წელს ლენინი დაბეჯითებით ურჩევდა გორკის გამგზავრებულიყო საზღვარ-გარეთ, სამკურნალოდ და აგრეთვე იმ მიზნით, რომ ეხსნა მგრძნობიარე მწერალი ქვეყნის მოუწყობლობის სურათების ხილვიდან, ქვეყნის, რომელიც მხოლოდ იმ ხანებში შეუდგა სამოქალაქო ომის ჭრილობების მოშუშებას.

აი რატომ არის, რომ სწორედ იმ მომენტში, როცა გაჩაღებული იყო ბრძოლა „ეპერიოდოვცებთან". ლენინი ასეთ გრძნობით აღსავსე სტრიქონებს სწერს გორკის:

„მე ვხედავ, ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძეო, რომ თქვენ ძლიერ გიმძიმთ. მუშათა მოძრაობის დანახვა თქვენ მოგიხდათ ისეთი მხრიდან, ისეთ ფორმებში, რომლებსაც ინტელიგენტური რწმენა სუსტი ხალხი ხშირად მიუყვანია სასოწარკვეთილებამდე მუშათა მოძრაობაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ეს არ მოგიტანთ და მე მსურს მაგრათ ჩამოგართოვათ ხელი".

ეს იმედი სავსებით გამართლდა. გორკი ჩვენია, მთლიანად ჩვენია, მთლიანად ჩვენია და ჩვენ ბედნიერი ვართ მივმართოთ მას ლენინის სიტყვებით:

„თქვენი მხატვრული ნიჭით რუსეთის — და არა მარტო რუსეთის, — მუშათა მოძრაობას თქვენ უდიდესი სარგებლობა მოუტანეთ. და თქვენ კიდევ მოუტანთ ამდენსავე სარგებლობას".

ა. რ—ი.

მ. გორკის სარეგისტრაციო ბარათი, შედგენილი პეტერბურგის ოხრანკაში 1905 წ.

ჩემი ამხანაგების სახელით ბრძოლაში — რევოლიუციონური ინტელიგენციისა და პროლეტარული მწერლების სახელით — ჩემი ამხანაგების — დასავლეთის პროლეტარების სახელით ვესალმები ამ შესანიშნავ მწერალს ისე, თითქოს ვიმყოფებოდე თქვენს შორის.

არტურ გოლიჩერი

მაქსიმ გორკი! ჩვენ ყველანი, ვისაც დიადმა, მარად დაუვიწყარმა ოქტომბრის რევოლიუციამ დაგვანახვა ცხოვრების ახალი აზრი, მოგვცა ადამიანის ურყევი ძალის გამაბედნიერებელი რწმენა, კაცობრიობის რწმენა, — გესალმებით შენ, როგორც პიონერს, პარტიზანს და ამხანაგ — ძმას.

ეპტონ სინკლერი

მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი ვიყავი, როცა გორკის სახელი ქუხდა ამერიკაში. და მე ვსწავლობდი მისგან — იმას, რომ დიადი ლიტერატურა არ შეიძლება იდგეს განზე ჩაგრულთა და გაყვლეფილთა დიდი ბრძოლიდან.

გენრიხ მანნ

გორკი მე პირველად წავიკითხე ჩემი ცხოვრების იმ პერიოდში, როცა მხოლოდ ვიწყებდი წერას, — და ის მაშინვე გახდა ჩემთვის ძვირფასი. იმ გარემოებას, რომ მან ასე სწრაფად მოიპოვა აღიარებაც, მსოფლიო სახელი და დიდება, არ გაუდიდებია მისდამი ჩემი პატივისცემა. მაგრამ იმის და მიხედვით, რაც მე გავდიოდი ლიტერატურულ გზას, რომელიც გაცილებით მძიმე იყო მის გზაზე, იზრდებოდა ჩემი აღტაცება გორკით, ვინაიდან მე იგი უფრო დავაფასე იმისათვის, რომ სწრაფად მოპოვებულმა სახელმა იგი ვერ ააცდინა დაწყებული გზიდან. გორკი მთელი გულით დარჩა დაკავშირებული დაჩაგრულთა და განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ბედთან. ამან შეუნარჩუნა მას შემოქმედებითი ძალები და უზრუნველჰყო მისი ნაწერების უკვდავება.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ მე ვიყავი ბერლინში, პისკატორის თეატრში, გორკის პიესაზე — „ფსკერზე“ და მან ჩემზე მოახდინა უფრო მეტი შთაბეჭდილება, ვიდრე 30 წლის წინ. მაგრამ ეს შთაბეჭდილება სულ სხვა იყო. მაყურებლის წინაშე მკაფიოდ დაიხატა პიესის სოციალური მნიშვნელობა. მაყურებელს ეჩვენებოდა, რომ დიდმა მხატვარმა გორკიმ, რომელმაც ეს პიესა დასწერა, ბევრათ ადრე უკანასკნელი ხუთმეტი წლის ამბებამდე, ყველაფერი იცოდა, ყველაფერი გაიგო ჯერ კიდევ მაშინ და სურდა ეგრძნობინებინა მოახლოებული მოვლენები. და მხოლოდ ახლა, როცა ჩვენ ვისხედით თეატრში, ეს ჩვენთვის შეიქნა ნათელი არაჩვეულებრივის სიცხადით.

გორკიმ გააფართოვა ლიტ. შემოქმედების სფერო, ახალი გზები და პერსპექტივები, უჩვენა მსოფლიო ლიტერატურას, მან მოგვცა ახალი თემები და ახალი მკითხველი. გორკიმ პირველად შემოიყვანა ლიტერატურაში, როგორც მისი გმირები, იმ კლასის წარმომადგენლები, რაც მანამდე ლიტერატურაში წარმოდგენილი არ ყოფილა.

გორკიმ პროლეტარების ფართო მასები გახადა ლიტერატურის მეგობრებათ, წიგნის მეგობრებათ. და თუ ახლა მწერლები მთლიანად არ არიან დამოკიდებული ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, ამითაც ისინი უნდა უმადლოდენ გორკის გენიას.



გორკის პიესის „ფსკერზე“ პირველი წარმოდგენის პროგრამა (მოსკოვის სამხატვრო თეატრი, 1902 წ. 18 დეკემბერი)

ზემო მტკვარს

აწყურს, მოქარგულს ვაშლით და ბაღით,
ფეოდალური ომების მიჯნას,
კოპაძის გეგმამ, მოქნილ ფარგალით,
ხელოვნური ზღვით გადააბიჯა!
მოჩვენებები, შავი ღრუბლებით
შემოეხვიენ ნაცნობ ადგილებს,
ამ უცნაური გეგმის შინაარსს
მათ ვინ გაურკვევს, გაუადვილებს?
არე გაშლილი ახეულ ვერსზე,
სად განგაშებდა შეტევა რაზმთა.
ხევები მოწმე მწარე ამბების,
სად მთის კალთებზე გადაანათა,
ცეცხლმა ომების ერებთა შორის, —
ეხლა ტიტანი ახალი მოდის!
დიდი ეპოქის მორიგი გეგმა
მთებშიც შეიჭრა დაუძლეველი,
ხვალ მოაწყდება მაღალ მწვერვალებს
მშრომელთა მასა — დაულეველი!..
მაზხალა მძლევი გაჰკვეთავს ხაზებს
საუკუნეთა მოწმე მთებისას,
და აცეული დიდი მანქანა
ორბებს დააფრთხობს გათენებისას.
ზურმუხტოვანი ფერდო ეწრები
მდიდარ ბუნების რჩეულ ნიშნებით,
მწვანე ვაზნარით, უხვი ბაღნარით,
შავი ქლიავის დიდრონ გიშრებით,
ჩაიბარებენ წყლების მარაგებს..
ზუთხი დინგებით ძირებს დაყნოსავს..
და ორაგული ქვირით გააბნევს!..
გუმაჯ ენგურის და ცხენის წყალის
ფაფარ აყრილი თეთრი რაშები
შეესევიან „ზემო მტკვრის“ აუზს,
ელექტრონებს გათამაშებით!..
რიონის „რაზმიც“ მოვა ყიჟინით,
საზღვარს დაიჭერს იმერეთისას,
წყალთა „მდევების“ მძლავრი შეხვედრა!.
ჭავას მოჰქაჩავს აჭარის მთისას!..
ცემენტი, კირი, ქვა და ბეტონი,
ასეულ მეტრზე მაღლა ნაშენი..
ჯებირი იჭერს წყალთა „დევ-გმირებს“,
ჯებირს ფაფარი თეთრი ამშვენებს!..
ტიტანმა გმირულ ახალ ეპოსის
შესცვალა გზები მდინარეების,
კაშკაშა შუქით რომ შეიმოსოს
საქმეც და ღამეც ახალ დღეების!..
ტიტანმა ლომი დაჰკრა მდინარეს,
ცეცხლით გადასჭრა მთები და ბარი,
ელექტრო ძალის კაცონს აანთებს
ელსადგურები დიდ „ზემო მტკვარის“!
დამკვრელ რაზმების შრომა იელვებს
ქვაში, რკინაში და ოფლის ღვრაში,
გაინაჟარდებს გიდრო პლანები
წითელ აწყურის ხელოვნურ ზღვაში!
ენგურ რიონის და ცხენის წყალის
მტკვრის შენაერთი წყალვარდნილებათ
მსოფლიო შეჯიბრს დასძლევს ცენტრალში
სოციშენებლობის სადიდებელად!
მაშინ მშვიდობით „დიდო სახელო“
„ყოველის შემძლე ამერიკისა“,
ველარ გიშველის „იანკის“ სიდინჯე,
ვერც პარლამენტი და შენი ქისა!
შენი დროება თავდება უშნოდ,
ვერ იამაყებს აწ „ნიაგარა“.
„აილ-მალინის“ მზე ჩაესვენა,
„წმინდა ლავრენტიმ“ ცრემლი დაჰღვარა.
„შიუტ-კარონიც“ *) ჩამოდგა განზე,
შენი დიდების დაუშვა დროშა,
წყალად გადიქცა ცილისწამება
ჯონ ხიკსმა ჩვენზე რომ წამოროშა!

კ. ფირცხალაიშვილი

*) ამერიკის ელსადგურები

კ. ციოლკოვსკი

(1857—1932)

კ. ციოლკოვსკიმ თვითგანვითარებით გაიკაფა გზა. დედა, რომელიც წერა-კითხვას ასწავლიდა მას, ადრე გარდაიცვალა. მისი შემდგომი მასწავლებლები იყვნენ მხოლოდ წიგნები და საკუთარი შრომა.

1873 წ. სმენას მოკლებულმა 16 წლის ახალგაზრდამ შეადგინა განსაკუთრებული სისტემის სახარატო ჩარხის პროექტი. ეს ჩარხი დაამზადეს მისი ნახაზების მიხედვით და აამუშავეს.

იმავე 1873 წ. კ. ციოლკოვსკის აზრად მოუვიდა: რომ გაკეთდეს აეროსტატი რკინიდან, მიეცეს მას თევზის ფორმა, იგი იქნება ძლიერ მტკიცე და ხანძრის მხრივაც უშიშარი. ამის შემდეგ, თითქმის 50 წლის განმავლობაში კ. ე. ციოლკოვსკი მუშაობს გიგანტურ საჰაერო გემების პროექტების შედგენაზე.

პირველი წლები წავიდა თეორეტიულ და ექსპერიმენტალურ მუშაობაზე ძსუბუქ ძრავების შესაქმნელად. შიგა წვის ძრავების წარმატებებმა უჩვენეს ციოლკოვსკას, რომ ყველაზე „ვიწრო ადგილი“ უკვე აქ არ არის. მაშინ მან მთელი ძალები გადაიტანა საფრენ და საჰაერო-სანაოსნო მანქანების დამუშავებაზე. თუმცა არა მთელი ძალები; ძლიერ ბევრ დრო მიჰქონდა მათემატიკის და ფიზიკის სწავლებას ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში და შემდეგ ქალთა რეალურ სასწავლებელში, ჯერ ბოროვსკში, რიაზანის გუბერნიაში, შემდეგ — კალუგაში.

1885-დან 1887 წლამდე ციოლკოვსკიმ დაამუშავა დირიჟაბლისა და მისი გარსის დეფორმაციის თეორია. ამ თეორიის საფუძველზე მან შეამუშავა მატერიიდან გამზადებული დირიჟაბლის კონსტრუქცია მავთულის ტანით (კარკასით). ამ პროექტს მეტად გულთბილად შეხვდენ მოსკოვის „ბუნების მეტყველების მოყვარულთა საზოგადოებაში“, მაგრამ მას არავითარი შედეგები არ მოჰყოლია. მხოლოდ 35 წლის შემდეგ მისცეს პატენტი ასეთ დირიჟაბლზე გერმანელ კონსტრუქტორს ინჟენერ **ნააცს.**

სამი წლის შემდეგ კ. ციოლკოვსკი „ტეხნიკურ საზოგადოებაში“ გზავნის შრომას „ლითონის აეროსტატის დამზადების შესაძლებლობის შესახებ“. ტეხნიკურმა საზოგადოებამ დაასკვნა, რომ „აეროსტატი სამუდამოდ ქარების სათამაშოდ დარჩება“ და ამიტომ ციოლკოვსკის ლითონის დირიჟაბლი გამოუსადეგარია.

დირიჟაბლის კონსტრუქციის საფუძვლებს გარდა, კ. ციოლკოვსკი ბევრს მუშაობდა დირიჟაბლის აეროდინამიკაზე მან ააგო რუსეთში პირველი აეროდინამიური მილი. თავის მეორე მილში, რომელშიც მთელი რიგი გაუმჯობესებანი იყო შეტანილი და, კერძოთ, საკუთარი კონსტრუქციის აეროდინამიურ სასწორზე, ციოლკოვსკიმ შეამოწმა მრავალი თავისი თეორეტიული მოსაზრება და ანგარიში. კ. ე. ციოლკოვსკიმ ჩაატარა აგრეთვე მთელი რიგი ცდები ჰაერის ხახუნის შესასწავლად.

ციოლკოვსკის ყველა თეორეტიულ მრავალფეროვან ლაბორატორიულ და საწარმოო ცდებიდან გამომდინარეობს ერთი დასკვნა: დირიჟაბლები შეიძლება გახდეს იაფ მასიური ტრანსპორტის მძლავრ საშუალებათ, ამისათვის საჭიროა მათ მიეცეს ლითონის გარსი, რომელსაც შეუძლია თავისი მოცულობის შეცვლა. მთლიანად ლითონიდან დამზადებულ დირიჟაბლების ექსპლოატაცია გაცილებით იაფია, თუ მოტორების გადამუშავებული გაზები გამოყენებული იქნება წყალბადის გასათბობათ. მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ლითონის გარსიდან, რომელშიც მოთავსებულია წყალბადი, განვდევნით ჰაერს.

ფართო მასებისათვის თითქმის არ არის ცნობილი ციოლკოვსკის შრომები აეროპლანის თეორიის დარგში. ამავე დროს კ. მან ჯერ კიდევ 1885 წ. გამოაქვეყნა თავისი შრომა, რომელშიც მოცემულია არა მარტო სწორი დამოკიდებულება აეროპლანის სიმძლავრესა, სისწრაფესა და ტვირთეულობას შორის, არამედ აგრეთვე მოცემულია ისეთი კონსტრუქცია მონოპლანის, რომელიც ნაწილობრივ 15 წლის შემდეგ დააპატენტა იუნკერსმა, ნაწილობრივ კი მხოლოდ ამჟამად ხორციელდება.

ყველაზე მეტის პოპულიარობით სარგებლობს ციოლკოვსკის შრომები პლანეტთაშორისო სივრცის გამოკვლევის შესახებ რეაქციური ხელსაწყოების საშუალებათ. აქ ციოლკოვსკის მიერ მოცემულია საყოველთაოდ აღიარებული საფუძვლები თეორიისა უჰაერო სივრცეში მოძრაობის შესახებ, ძირითადი გამოანგარიშებანი, რომლებიც შეეხება მომავალი კოსმიური გემის ძრავების მუშაობას და თვით გემის მოწყობილობის პრინციპები. ამავე დროს ციოლკოვსკი იძლევა არა მარტო ლაბორატორიული გამოკვლევების პროგრამას, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს დედამიწის ატმოსფეროს დაძლევა, არამედ აგრეთვე სწყვეტს მზის სისტემის ფარგლებში პლანეტთაშორის სივრცის თანდათანობით დაუფლების ამოცანებს. ამავე დროს იგი იძლევა მთელ რიგ უაღრესად საინტერესო და დიდი მომავლის მქონე გამოგონებებს სწრაფი სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტის დარგში, დავასახელებთ მის შრომებს: „ჰაერის წინაღობა და სწრაფი მატარებელი“, „ახალი აეროპლანი“, „რეაქტიური აეროპლანი“, „ნახევრად რეაქტიური სტრატოპლანი“.

დიდ ინტერესს წარმოადგენ ციოლკოვსკის შრომები ასტროფიზიკის დარგში და დაუბეჭდავი შრომები მზის სხივების ენერგიის გამოყენების შესახებ, დაბოლოს, მის მიერ დამუშავებულია მთელი რიგი შედარებით წვრიმალი გამოგონებები, მაგალითად, სასტამბო შრიფტის ახალი პრინციპი, სწრაფადმწერი მანქანა და სხვ.

ახალგაზრდობაში ციოლკოვსკის ბედი არ სწყალობდა. პროვინციალურმა მასწავლებელმა მეფის რუსეთში ვერ მიიღო შესაფერი დახმარება; მის მეცნიერულ შრომებს და გამოგონებებს გვერდს უვლიდნენ.

საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ ვ. ი. **ლენინის** სიცოცხლეში აღმოუჩინა დახმარება კ. ციოლკოვსკის მისთვის პერსონალური პენსიის დანიშვნით, მაგრამ ჩვენ დღემდე ცოტა გავაკეთეთ იუბილიარის სასარგებლო გამოგონებათა რეალიზაციისათვის.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ციოლკოვსკის შრომები ჩვენი დირიჟაბლმშენებლობის და სწრაფი ტრანსპორტის ტემპების დასაჩქარებლად.

ი. რაპოპორტ.

თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში



ამხ. მოლოტოვის სახელობის **ავეჯეულობის ფაბრიკაში** მოეწყო ახალგაზრდობის XVIII საერთაშორისო დღის სახელობის კომკავშირელთა დამკვრელი ბრიგადა, რომელიც მუშაობს ფართო მოხმარების საგნების გამოშვებაზე. სურათზე—დამკვრელი ბრიგადის ბრიგადირი ამხ. **მკრტჩიანი**



თბილისის ტრამვაის კომკავშირელთა ბრიგადან, რომელიც მიმდინარე რემონტზე მუშაობს, ახალგაზრდობის XVIII საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გეგმის გარეშე შეაკეთა მოსაბმელი ვაგონი.



თბილისის ტრამვაის სახელოსნოები. მექანიკური ცეხის ზეინკალი, რამდენჯერმე დაჯილდოებული დამკვრელი მუშა-ზეინკალი ამხ **ვ. კოხრეიძე** ამოწმებს ჩარხს.

სტალინის რაიონია კოლექტიური დასვენების დღე

„მკერავი"-ს № 2 ფაბრიკის კომკავშირმა 30 აგვისტოს მოაწყო მასიური ექსკურსია ს. კოწანისში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღეს სტალინის რაიონის კომკავშირის ორგანიზაციებმა (თიხსაცმელების ფაბრიკა № 1, შინამრეწველები, „მკერავი" № 2, „მკერავი" № 1 და სხვა). კომკავშირელებმა სოფლად მოაწყვეს ცნობათა მაგიდები ახალგაზრდობის მოძრაობის საკითხებზე, პოლიტვიქტორინა, მასიური თამაშობანი და სხვ. აქტიური მონაწილეობა ამ კულტურულ დასვენებაში შიიღეს რაიონის პიონერებმა და საშეფო-სამხედრო ნაწილებმა.

სურათზე: 1) მასიური დასვენების მონაწილენი ცეკვით ერთობიან, 2) მუშა - კომკავშირელების შეხვედრა საშეფო სამხედრო ნაწილების წითელ არმიელებთან.

მილიონები ახალი იმპერიალისტური
კავშირის

ანტი-სამხედრო კონგრესის პრეზიდიუმი

იმპერიალისტები სოციალ-ფაშისტებთან ერთად ამზადებენ ახალ ომს

„ევროპა ემზადება მეორე დიდი ომისათვის. სამხედრო საწარმოები სრული დატვირთვით მუშაობენ. გაძლიერებული მუშაობაა ლაბორატორიებში. გენერალური შტაბები განუწყვეტლივ ადგენენ გეგმებს. თითქმის ყოველ ქვეყანაში გაშლილია ფართო მოღვაწეობა, რომლის მიზანი ერთია — ომი!

„ვერაფერი ვერ გვიხსნის ჩვენ ახალი კონფლიქტისაგან ევროპაში. საჭიროა მისი მომზადებულად შეხვედრა. უნაყოფოა ლაპარაკი: ომი არ დაიწყება, რადგან ხალხები არ ინდომებენ მეორე კონფლიქტს. ეს არის ილუზია, რომელიც წინ უძღოდა ყოველ ომს ისტორიაში".

ამას წერს ინგლისის იმპერიალიზმის მედროშე ინგლისის საგაზეთო მეფე ლორდი **ბივერბრუკი** გაზ. „სანდეი ექსპრეს"-ში. თუ წარსული იმპერიალისტური ომის დროს ომის ორგანიზატორები თავის ოფიციალურ გამოსვლებში ომის წინ და ომის დაწყების შემდეგ თავიანთ „თეთრ", „წითელ", „ყვითელ", „ლურჯ" და სხვა წიგნებში საგანგებოთ შერჩეულ დოკუმენტების საშუალებით ყოველმხრივ ცდილობდნენ დაემტკიცებიათ, რომ მათ ფიქრიც არ ჰქონებიათ ომზე, ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება იმპერიალისტურ სამყაროს ავტორიტეტულ წარმომადგენელთა უამრავი ოფიციალური განცხადებანი და წერილები, რომლებშიც არავითარ იჭვს არ სტოვებენ იმისას, რომ მეორე — უფრო საშინელი სისხლის მღვრელი ომი იმპერიალისტებს დღის წესრიგში აქვთ დასმული.

და, მართლაც, უკანასკნელი ომის შედეგად იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და საერთოდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობანი არა თუ რიცხობრივად გაიზარდა. არამედ ხარისხობრივადაც უფრო სერიოზული და ღრმაა: წინააღმდეგობა ვალებით დაყურსულ ევროპასა და მევალე ამერიკას შორის, წინააღმდეგობა იაპონიასა და ამერიკას შორის, ინგლისსა და ამერიკას შორის, საფრანგეთსა და გერმანიას შორის, საფრანგეთსა და იტალიას შორის, წინააღმდეგობანი ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის, წინააღმდეგობანი ლათინურ ქვეყნებს შორის, უკანასკნელთა და ამერიკას შორის, წინააღმდეგობანი კოლონიალურ ქვეყნებსა და დამონებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, დაბოლოს — უდიდესი წინააღმდეგობა სოციალიზმის მშენებელ ქვეყანასა და კაპიტალისტურ სამყაროს შორის, — ასეთია ომის მრავალრიცხოვანი საბაბი, მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელიც სოციალ-ფაშიზმის მეთაურთა და ბურჟუაზიულ ეკონომისტების რეცეპტების მიუხედავათ განუწყვეტლივ იზრდება, ფართოვდება და ღრმავდება, კიდევ უფრო აძლიერებს ამ წინააღმდეგობებს. უფრო და უფრო ხშირათ გაისმის ხმები ომის სასარგებლოთ, ომის, როგორც ყველაზე საიმედო მხსნელის ქება-დიდებით. შემთხვევითი როდია, რომ წარსული წლის სექტემბერში მანჯურიის ველებზე დაწყებულმა ზარბაზნების გუგუნმა, გამოიწვია არა მარტო სამხედრო მრეწველობის (კაპიტალისტური მეურნეობის ერთად ერთი დარგი, რომელსაც კრიზისის მსახრავი ხელი არ შეჰხებია), აქციების კურსის კიდევ უფრო აწევა, არამედ საერთო ეკონომიური გამოცოცხლების იმედები. კონკრეტულად იმპერიალისტები იმედოვნობდნენ, რომ პროვოკაციის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის ჩათრევა ომში და სოციალისტური ციხესიმაგრის მოსპობასთან ერთად თავის დაღწევა უსაშინელესი კრიზისისაგან. მაგრამ ეს იმედები დაიმსხვრა საბჭოთა კავშირის მტკიცე მშვიდობიანი პოლიტიკის წყალობით და ამასთან ერთად გაჰქრა „აყვავების" ხანის დაბრუნების იმედებიც.

მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს იმედები ახლა კვლავ დამყარებულია ომზე. ომს ელიან, როგორც წვიმას ხანგრძლივი გვალვის შემდეგ. ომი მიჩნეულია საშუალებათ თავის დაღწევისათვის იმ ჩიხიდან, რომელშიც კაპიტალისტური სახელმწიფოები მოქცეული არიან 1914—18 წლის ომის შემდეგ, თავის დასაღწევად ეკონომიური კრიზისისაგან.

ბურჟუაზია სოციალ-ფაშისტების დახმარებით მოხერხებულად ამზადებს ახალ ომს, ამუშავებს საზოგადოებრივ აზრს. საჭიროა ახალი იმპერიალისტური ომის მზადების ეშმაკურ მექანიკას დაუპირისპირდეს ომის მზადების სისტემატიური ყოველდღიური გამომჟღავნება ენერგიული ანტი-სამხედრო პროპაგანდა. დღესაც უაღრესად აქტუალურია ის. რასაც გვასწავლიდა **ლენინი:**

„უნდა განუმარტოთ ხალხს რეალური ვითარება იმის, თუ რამდენად დიდი

ომის საფრთხის წინააღმდეგ, საბჭოთა აღარაჯოგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანრი ბარბიუსი
ხსნის ანტი-სამხედრო კონგრესს

მაქსიმ გორკი

საიდუმლოება, რომელშიც იბადება ომი და რამდენად უძლურია მუშათა ჩვეულებრივი ორგანიზაცია, თუგინდ იგი თავის თავს უწოდებდეს რეიოლიუციონერს, ნამდვილად მოახლოებული ომის წინაშე".

ფართოვდება ანტისამხედრო ფრონტი

იმპერიალისტურმა ომმა თავისი განმანადგურებელი შედეგებით გამაფხიზლებელი გავლენა მოახდინა ინტელიგენციის საკმაოდ ფართო მასებზე, რომელიც ომის დროს ერთგულად ემსახურებოდა ომის მიზნებს. აუარებელი დაჭრილ-დასახიჩრებულები, დასახიჩრებულები ფიზიკურად და სულიერად, აუარაცხელი განადგურებული კულტურული და მატერიალური ღირებულებანი, დაქანცებული ახალი თაობა, — აი წარსული

რომენ როლლანი

იმპერიალისტური ომის ძეგლები, რომლებიც ყველა მოაზროვნე ადამიანების წინაშე აყენებენ კითხვას:

— რისი გულისთვის?

იმისათვის, რომ ჯიბეები გაისქელონ კრუპებმა, ტისსენებმა, შნეიდერ-კრეზოებმა, ვიკკერსებმა, მორგან-როკფელერებმა და სხვა მილიარდერმა მაროდიორებმა.

და თუ 1914 წელს ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციიდან მხოლოდ ერთეულები იყვნენ ომის წინააღმდეგი და ამ ერთეულებიდანაც მხოლოდ რამდენიმეს ეყო გამბედაობა საჯაროდ გამოეთქვა პროტესტი ომის წინააღმდეგ, ახლა უკვე ათეული და ასეულები გამოდიან ახალი სისხლის ღვრის მზადების წინააღმდეგ.

კიდეც უფრო მეტი.

თუ 1914 წ. პროტესტით გამოსულ ბურჟუაზიულ ინტელიგენტების ხმა ყრუთ გაისმოდა ინტელიგენტურ მწვერვალებიდან, თუ ისინი ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ასეთი განყენებული ცნებების გულისათვის, როგორიც არის „სამართლიანობა", „გონება" და სხვა, რომელთაც მოპირდაპირე—ომის ორგანიზატორების ბანაკი მოხერხებულად იყენებდა ამავე ომის გასამართლებლად, თუ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ეს საუკეთესო წარმომადგენლები, როგორც ცეცხლს ისე გაურბოდნენ კავშირს მებრძოლ პროლეტარიატთან, რომელიც ერთად ერთ სამართლიან ომათ თვლის კლასობრივ ბრძოლას, სამოქალაქო ომს მყვლეფელების და და მჩაგვრელების წინააღმდეგ, ახლა ბრავალმა მათგანმა შეიგნო, რომ მხოლოდ პროლეტარიატი წარმოადგენს ერთად-ერთ ძალას რომელსაც შეუძლია წინააღუდგეს ომს, მართალია, ბევრი, დიდი უმეტესობა ამ ინტელიგენტებისა, შორს სდგას პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანებისა და იდეალებისაგან, მაგრამ მისთვის ცხადია, რომ ერთად ერთი რეალური ძალა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ომის გაჩაღებლებს სისხლის ღვრის დაწყებაში, ეს არის პროლეტარიატი, და ეს ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილი იწყებს ომის წინააღმდეგ ბრძოლას პროლეტარიატთან ერთად.

იზრდება სიმპატიები საბჭოთა კავშირის მიმართ

უდიდესი როლი ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენციის დარაზმვაში ომის წინააღმდეგ ითამაშა საბჭოთა კავშირმა. თუ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ჩვენ ბურჟუაზიულ წყობილებისათვის შეგვეძლო დაგვეპირისპირებინა მხოლოდ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლება მშრომელი მასებისა და სამოქალაქო ომის წლებში მხოლოდ ოცნება შეგვეძლო შესვენებაზე დადებითი შედეგებითი მუშაობის გასაშლელად, თუ ჩვენ მაშინ გვეძახდნენ ფანტაზიორებს, რომელთაც სურთ შუბლით გაიტანონ კედელი, ახლა კაპიტალისტური სამყაროს უდიდესი კრიზისის ფონზე ჩვენი გიგანტური მშენებლობა ბუმბერაზულ შთაბეჭდილებას ახდენს უცხოეთში, ჩვენს მტრებზედაც კი.

„თუ ამერიკა იყო განუსაზღვრელ შესაძლებლობათა ქვეყანა, საბჭოთა კავშირი არის წარმოუდგენელ შესაძლებლობათა ქვეყანა, რაც ჩვენი თვალსაზრისითაც კი აღიარების ღირსია"-ო, — სწერდა „ბერლინელ ტაგებლატ"-ი დნეპროსტროის დამთავრების გამო".

იმ დროს, როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ტეხნიკური ინტელიგენციის სამოქმედო ასპარეზი, მისი ცოდნის და შესაძლებლობათა გამოყენების სფერო თანდათანობით ვიწროვდება, როცა უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი პირები იძულებული არიან იმუშაონ უბრალო მსახურებათა, როცა გამოჩენილი სწავლულები მოკლებული არიან თავისუფალი, უზრუნველყოფილი მუშაობის შესაძლებლობას, როცა მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა არაჩვეულებრივის სიმძიმით განიცდის კრიზისის განმანადგურებელ გავლენას, საბჭოთა კავშირში შენდება მსოფლიო გიგანტები, ყვავის მეცნიერება, ხელოვნება, ტეხნიკურ ინტელიგენციას ფართე გასაქანი აქვს თავისი ცოდნისა და შესაძლებლობათა გამოყენებისათვის, მუშათა კლასი ეუფლება მეცნიერებას, ტეხნიკას, ხელოვნებას, იჭედება ახალი წარმტაცი ცხოვრება.

ამ პარალელისათვის გვერდის ავლა არ შეუძლია არავის, ვისაც კი შერჩენია დანახვისა და გაგების უნარი. ამით არის გამოწვეული, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენ-



მარტინ ანდერსენ ნექსე

ციის საუკეთესო წარმომადგენლები ზურგს აქცევენ დასაღუპად განწირულ კაპიტალისტურ სამყაროს და სიმპატიებით იმსჭვალებიან ახალი ცხოვრების მშენებელ — საბჭოთა კავშირის მიმართ.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებამ საბჭოთა კავშირში თვალები აუხილა ბრევალს და დაანახვა გზა უკეთესი ცხოვ-

ჟოზ. გენ. ფონ-შეინახი
ანტი-სამხედრო კომიტეტის წევრი

რების მშენებლობისა. ბევრი მათგანი, ვისც ერთი ორი წლის წინ კიდევ ყოყმანობდა თავისი სიმპატიების აშკარად გამოხატვაში საბჭოთა კავშირის მიმართ, დღეს უკვე საქვეყნოთ უცხადებენ თავის თანაგრძნობას საბჭოთა კავშირს. **ანდრე ჟიდი,** საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი, რომელიც შარშან თვერიდა პასუხის გაცემას რევოლიუციონური ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს ანკეტაზე — „როგორი იქნება თქვენი პოზიცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში", „ლიტერატურნაია გაზეტა"-ს 1932 წ. 5 აგვისტოს ნომერში სწერს:

„...მე მსურს ხმამაღლა გადავსძახო ჩემი სიმპატიების შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ და, რომ ჩემი ხმა იქნას გაგონილი და მან მიიღოს გარკვეული მნიშვნელობა. მე ვისურვებდი საკმაოდ მეცოცხლა, რომ მენახა სტალინის გეგმის წარმატებით დამთავრება. მისი წარმატებისათვის, რომელსაც მთელი გულით ვისურვებდი, მე მინდა მქონდეს შესაძლებლობა გავაკეთო რაიმე".

ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენლები მარტო არ არიან ამ თავის სიმპატიებში საბჭოთა კავშირის მიმართ. მთელი რიგი ინჟენრები, ექიმები, სწავლულები ერთხმად აღიარებენ, რომ მთელს მსოფლიოში ამჟამად მხოლოდ საბჭოთა კავშირში არსებობს შემოქმედებითი მუშაობის გაშლის შესაძლებლობა. ისინი ისწრაფვიან ჩვენში სამუშაოთ, ჩვენი ახალი ცხოვრებისა და მუშაობის გასაცნობათ.

ამავე დროს ხსენებული ინტელიგენციის გავლენიან წრეებში თანდათანობით რწმუნდებიან, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მშვიდობიან ერთგულ გუშაგს. საინტერესოა ამ მხრივ ფრანგ სიურეალისტების მოწოდება:

„...საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს ერთად-ერთ ქვეყანას, რომელსაც ყოველგვარი ფარისევლობის გარეშე შეუძლია ილაპარაკოს მშვიდობიანობის შესახებ"...

„...სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ ჩვენ, ყველა ძალებითა და საშუალებებით დავეხმარებით საბჭოთა პროლეტარიატს, გლეხობას და წითელ არმიას ბურჟუაზიულ მთავრობათა ძალებზე გამარჯვებაში".

დაუსრულებელმა ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც უფრო და უფრო მკაცრ ხასიათს იღებს, ბევრ ბურჟუაზიულ ინტელიგენტს დაუკარგა კაპიტალიზმის აღორძინების და გაჯანსაღების რწმენა. სიმპატიები კომუნისტებისადმი და სოციალისტური მშენებლობისადმი იზრდება ისეთ წრეებშიც კი, რომლებიც აქამდე შორს იდგენ პოლიტიკისაგან (დასაკვირველია, მათის აზ ანტიიმპერიალისტური ფრონტის გაფართოების და საბჭოთა კავშირის მეგობართა არმიის ზრდის კიდევ უფრო თვალსაჩინო დემონსტრაციას წარმოადგენდა.

საერთაშორისო ანტისამხედრო კონგრესი

ეს კონგრესი აგვისტოს ბოლო რიცხვებში შეიკრიბა ამსტერდამში სამი მსოფლიო მწერლის — **რომენ როლანის, მაქსიმ გორკის** და **ანრი ბარბიუსის** თაოსნობით. შეიკრიბა საერთაშორისო ბურჟუაზიის და სოციალ-ფაშიზმის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, საშინელი ტერორის და რეპრესიების მიუხედავათ, რომელიც კონგრესის ორგანიზატორთა და დელეგატებათ არჩეულთა წინააღმდეგ გააჩაღეს ცალკე ქვეყანაში. იმ ტერორის და ბურჟუაზიული და სოც.-ფაშისტური გააფთრებული კამპანიის შედეგად კონგრესზე არჩეულ 5.000 დელეგატიდან მხოლოდ 2.500 კაცმა შესძლო ჩასვლა ამსტერდამში. დანარჩენებმა ან ციხეში ამოჰყვეს თავი ან ფული ვერ მიიღეს კონგრესზე დასასწრებლათ. სოციალ-ფაშისტური ბელადების მუქარის მიუხედავათ კონგრესს დაესწრო 400-მდე მუშა მეორე ინტერნაციონალის პარტიებიდან, რომლებმაც კონგრესის სხვა დელეგატებთან ერთად მხარი დაუჭირეს აქტიურ ბრძოლას ომის წინააღმდეგ, ფიცი დასდვეს, რომ დაიცავენ საბჭოთა კავშირს და ამით მათ გამომგზავნ მილიონ სოციალ-დემოკრატიულ მუშებთან ერთად ხმა მისცეს თავიანთი ბელადების წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ ახალი ომის ორგანიზატორებთან და ანტი-საბჭოთა ფრონტის მოწინავე რიგებში იმყოფებიან.

არანაკლებ საყურადღებოა ინტელიგენციის წარმომადგენელთა გამოსვლა ამ კონგრესზე, ეს გამოსვლები მაჩვენებელია იმ ღრმა გარდატეხისა კაპიტალისტური ქვეყნების ინტელიგენციის განწყობილებაში, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ერთის მხრივ გამოუვალ ეკონომიური კრიზისისა და მეორეს მხრივ საბჭოთა კავშირის გიგანტური წარმატებების ზეგავლენით. გამოდის რა ომის წინააღმდეგ, ეს ინტელიგენცია ხედავს, რომ მარტო ცარიელი პროტესტით, მარტო საკუთარი ძალებით ომის წინააღმდეგ ის ვერაფერს გახდება, რომ მხოლოდ მჭიდრო კავშირი მუშათა კლასთან და კომუნისტურ

პატელი ანტი-სამხედრო კომიტეტის წევრი, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ყოფ თავმჯდომარე.

პარტიასთან უზრუნველჰყოფს ამ ბრძოლის წარმატებას.

ამ კონგრესმა დაამტკიცა პროლეტარიატის როლის და გავლენის მნიშვნელოვანი ზრდა იმ წვრილბურჟუაზიულ მასებში, რომლებიც აქამდე მიჰყვებოდნენ კოლონიალური ძარცვა-გლეჯის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის და ყაჩაღური ომის ორგანიზატორებს.

ახალი ათეული მილიონები ირაზმებიან ომის საფრთხის წინააღმდეგ, ახალი ათეული მილიონები დგებიან საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე.

ე. წულაძე.

გერმანიის შავი რაზმის შეკრება

ბერლინში შესდგა ფაშისტურ „ფოლა-დის მუზარადში" გაერთიანებული იმპერიალისტური ომის მონაწილეთა შეკრება, რომელსაც დაესწრნენ ჰოგენცოლერნების გვარეულობის წარმომადგენლები და გერმანიისმთავრობა ფონ-პაპენის მეთაურობით.
სურათზე მარშალი ფონ-მაკენზენი იღებს „ფოლადის მუზარადის" აღლუმს.

კ ა მ ო*)

შეშლილობის სიმულიაცია

კამოს ისე ეჭირა თავი, როგორც შშაგ შეშლილს. ა�itom სასამართლომ დაადგინა გადაეყვანათ იგი საპატიმროს საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში გამოსაცდელად, აგრეთვე დააკმაყოფილა ოსკარ კონის შუამდგომლობა, რათა იგი დაენიშნათ სულით ავადმყოფი პატიმრის მეურვედ. ექვს თვეს გრძელდებოდა კამოს გამოცდა. ოთხი თვის განმავლობაში არ დაწოლილა, დღე-ღამით ზეზე იყო, ხოლო და სასვენებლად კუთხეში დგებოდა პირით კედლისაკენ და რიგ-რიგად სწევდა მაღლა ხან ერთ ფეხს და ხან მეორეს. შემდეგ უარი სთქვა საკვლის მიღებაზე. ძას ხელოვნურად დაუწყეს კვება ზონდის საშუალებით, ამასთან ყბების ძალით გახსნის დროს რამდენიმე კბილი ჩამტვრიეს. მან ერთ დღეს ბლომად გამოიგლიჯა წვერი და კონა-კონად დააწყო თავის საბანზე მწკრივად. როდესაც ექიმმა და ზედამხედველებმა დაინახეს ეს სურათი, შიშით შეპყრობილებმა დაიყვირეს: „შრეკლიხ". (საშინელებაა!). ერთხელ კამო ნამდვილად ჩამოეკიდა თავის დასახრჩობად, რასაკვირველია, იმ იმედით, რომ ადმინისტრაცია ამას არ დაუშვებდა. მისი ანგარიში გამართლდა: იგი მარყუჟიდან ჩამოხსნეს. მეორეჯერ მან წვნიანი პატარა ძვალი იპოვა, ეს ძვალი გაჰხმახვა და ღამით გადაიჭრა მარცხენა ხელის სისხლის მილები. როდესაც სასწრაფოდ გამოწვეულმა ექიმებმა სისხლის დენა შეუჩერეს და მომაკვდავი გონს მოიყვანეს, მან შენიშნა, რომ არა მარტო საწოლი, არამედ მისი კამერის იატაკიც სისხლით იყო მორწყული. ბოლოს და ბოლოს ექიმებმა ის იცხეს ავადმყოფად და 1908 წლის მაისში გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ის იმყოფებოდა 1909 წ. მარტამდე.

„ბუხში" (ბერლინის სულით ავადმყოფთა სამკურნალოა) გადაყვანისას იგი მოათავსეს პალატაში, სადაც 9 შშაგი შეშლილი იყო, რომელნიც ხშირად აღრჩობდნენ, ურტყამდნენ, ჰკაწრავდნენ და ჰკბენდნენ ერთმანეთს. რამოდენიმე დღის მემდეგ ის უფრო მშვიდობიან განყოფილებაში გადაიყვანეს. ამ მდგომარეობაში ხანგრძლივი ყოფნა უმძიმეს გამოცდას წარმოადგენდა: გაქცევა ყოველად შეუძლებელი იყო: მაშინ კონი შეუდგა იმის ცდას, რომ ავადმყოფი სხვა სამკურნალოში გადაეყვანათ, საიდანაც უფრო ადვილი იქნებოდა წასვლა, მაგრამ მისი შუამდგომლობა არ შეიწყნარეს.

„ბუხში" ყოფნის დროს ამხ. კამო გამუდმებით უკვირდებოდა გარშემოხვეულ ავადმყოფებს. მათ შორის იყო ერთი ექიმი მორფინისტი, რომელიც აქ საკუთარ მშობლებს მოეთავსებინათ, რადგან ის თურმე მთელ თავის ქონებას მორფში ხარჯავდა. ეს ექიმი ესაუბრებოდა უფრო მოხდულ ავადმყოფებს, უამბობდა მათ ფსიქიურ ავადმყოფობათა სხვადასხვა ფორმების და მათი სიმპტომების შესახებ. კამო ყურადღებით უსმენდა მას და ცდილობდა ყოველივე მოსმენილი კარგად შეეთვისებია.

1909 წ. მარტში „ბუხის" ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ტერორისტ - ანარქისტ პეტროსიანცის ჯანმრთელობა საეჭვოდ დამაკმაყოფილებელია. ამის შემდეგ კამო ხელახლა ალტმაბიტის საპყრობილის საგამომძიებლო განყოფილებაში დაბინავდეს. აქ იგი ისევ დაავადმყოფდა, მაგრამ ამჟამად უკვე არა უბრალოდ, ზერელედ, არამედ მეცნიერების წესებისამებრ. ამიტომ 16 აპრილს ისევ „ბუხში" იქნა მოთავსებული. კამო გასაოცარი ოსტატობით ბაძავდა ერთს სულით ავადმყოფს. ექიმები ძლიან დაინტერესდენ ამ მოვლენით და რომ გამოეაშკარავებინათ მონერხებული სიმულიანტი, დაუწყეს მას ბარბაროსული წამება: ქინძისთავით ჩხვლეტდენ ფრჩხილებ ქვეშ, სხეულს უდადავდენ ლითონის გახურებული ბუნიკით. ამხ. კამოს მრავალი წლის შემდეგ აჩნდა ძარცხენა ფერდზე ამ ბუნიკის (ტერმოკაუტერი) - ღრმა ნაღა. ძთელ ამ წამებას ამხ. კამო უდიდესი სიმშვიდით იტანდა. „რა საშინელად ყარდა გატუსული ხორცი", — იგონებდა ის შემდეგ ძი. ეკიმები ბოლოს ძალაუნებურად იძ დასკვნამდე მივიდენ, რომ კამო ნამდვილად დაავადმყოფებული იყო იმ სენით, როველსაც ბაძავდა.

ამ მძიმე დროის შესახებ დარჩა არა მარტო ამხ. კამოს და ო. კონის ნაამბობი და ნოგონებანი, ოამედ კიდევ მთელი რიგი საბუთები იმ საავადყოფოების „საურვო ფურცლების" სახით, სადაც ამხ. კამო იყო ხოლმე გამოსაცდელად. ამ „ფურცლების" ამონაწერები შესანიშნავად ახასიათებს იმ წარმოუდგენელ ატმოსფერას, რომელ ძიაც უბდეოდა კამოს ბოძოლა სიცოცხლის შესაინარუნებლად.

ბოლოს, „არმენდირექციონმა" (ასე ეწოდებოდა გეოფაიულად იძ დაწესებულებას, როველიც განაგებდა საავადყოფოებს და ქსენოფობებს), გეოფახიის პოლიციის ხეგაცლებით, მოითხოვა, რომ კამო გადაცემოდა ოუსეთის ხელისუფლებას. ამ გასჭრა ორავითარმა ღონისძიებამ, რომელსაც ღებულობდ ოსკარ კონი ამ განზრახვის ჩასაძლელად. კამო 1909 წ. 4 ოქტომბერს გადასცეს რუსეთის ჟანდარმებს საზღვარზე, ხოლო ჟანდარმებმა ჩამოიყვანეს ის ტფილისში, სადაც სამხედრო სასამართლოს უნდა გაერჩია ძისი საქმე.

კამოს საშინელი სასჯელი მოელოდა რუსეთში. ევროპის პრესამ კონის („ფორვერტსი") და სეოვეს („ჰუმანიტე") ძეთაურობით დიდი აურზაური ასტეხა გერმანიის ეთავრობის წინააღმდეგ ბარბაროსული თვითმპყრობელობის ხელში ავადმყოფი პოლიტიკური დაძანაკის გადაცემისათვის. დასავლეთის პოლიტიკური სკანდალის თავკერპი ... ცილებლად საქმეში ჩაერია შინაგან საქმეთა ...ისტრი ა. სტოლიპინი, ოძელმაც კავკასიის ხამესტნიკის ვორონცოვ-დაშკოვს ძიმართა წერილით: ძირსკის თუ სიკვდილით დასჯა გადაუწყდა, ეს ცუდ გავლენას მოახდენს საზღვარ-გარეთ ოუსეთის ინტერესებზე ანარქისტების გადმოსახლების საკითხშიო.

კონის მეცადინეობით ტფილისში გადმოგზავნა ძოწმობები კამოს ქრონიკული ავადმყოფობის შესახებ, როველთაც ხელს აწერდენ ბერლინის გამოჩენილი ექიმები.

საგიჟეთიდან გაქცევა

კამოს დის — ჯავაირას გადმოცემით, თბილისში ჩამოყვანისას კამომ არ იცოდა ბერლინელი ექიმების საბოლოო დასკვნა თავის შესახებ. ნახვის დროს ჯავაირამ გადასცა მას, რომ ყველა საჭირო საბუთი კონის მიერ გადმოგზავნილია თბილისში. ამან გაამხნევა კამო, რომელმაც მეტი გაბედულობით განაგრძო შეშლილობის სიმულაცია. ის რამდენიმეჯერ შეამოწმეს, რადგან იქვი შეჰქონდათ ძის მეშლილობაში. მაგრამ კამომ შეურყეველად გადაიტანა ყოველგვარი გამოცდა. შემოკლებით ძოგვაყვს სასამართლოში მომხდარი შემოწმების ერთ-ერთი ოქმი, რომლის შემდეგ კამო მეტეხიდან გადაყვანილი იქნა ფსიქიატრულ საავადმყოფოში.

სასამართლოს სხდომაზე შემოყავთ შესამოწმებელი ტერ-პეტროსოვი, რომელიც დაპატიმრებულია, მიცემულ შეკითხვებზე ტერ-პეტროსოვი უპასუხებს:

1. რა გქვია?

— სიმონ ტერ-პეტროსოვი.

2. რა ერქვა მამათქვენს?

— სიმონ ტერ-პეტროსოვი.

ეს კითხვა რამოდენიმეჯერ მეორდება და ტერ-პეტროსოვი ეოთსა ... იძლევა.

3. რამდენი წლისა ხართ?

— ოცდა ათის.

4. სად დაბადეთ?

— ეო ვიცი; მე ხოქ უცხოეთშიაც ვიყავი.

5. რას აკეთებდით ციხეში, რითი ცხოვრობდით?

— ფაბრიკა მქონდა.

6. სად დაიბადე?

— ეო ვიცი; მე ყველგან ყიყავი

7. ეკითხება ექიმი ნაშვილი: მიცანიო?

— ტერ - პეტროსოვი მხიარულად იცინის და უპასუხებს: „თქვენ ექიმი ხართ, ექიმი".

8. როგორია თქვენი ჯანმრთელობა?

— კბილები მტკივა.

9. რას გაბრალებენ?

— მე რამდენიმე პარტიის დამაარსებელი ვარ.

10. რომელი პარტიების?

— ახლა დამავიწყდა, მერე ვიტყვი.

11. რომელია მთავარი პარტია?

— ძერე ვიტყვი.

12. სოციალ - დემოკრატებს იცნობ?

— ვიცნობ.

13. სოციალრევოლიუციონერებს?

— მასაც ვიცნობ.

ბარდაიცვალა „ინტერნაციონალის" მუსიკის ავტორი

პარიზის მუშათა გარეუბანში გარდაიცვალა „ინტერნაციონალი"-ს მუსიკის ავტორი, მუშა (ხარატი) დეგაიტერი, ნეკროლოგში „ლიუმანიტე" წერს:

„დეგაიტერმა შეთხზა მელოდია. მელოდიის სიტყვები ეკუთვნის მეორე მუშას, კომუნარ ეუენ პოტიეს. უკანასკნელმა ამ სიმღერაში ჩააქსოვა მთელი ზიზღი ვერსალისადმი, კომუნის კულტი და რწმენა. მსოფლიო პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების ეს სიმღერა გადაიქცა მთელ მსოფლიოს მუშათა საბრძოლო სიმღერად და კაპიტალიზმის უღელისგან განთავისუფლებულ საბჭოთა კავშირის 160 მილიონი მშრომელის ჰიმნად. 1928 წელს დეგაიტერი იყო მოსკოვში და მონაწილეობას იღებდა კომინტერნის კონგრესში".

---

*) დასასრული. იხ. „დროშა" №№ 11, 12.

14. კომუნისტებს?

— მათაც ვიცნობ.

15. თქვენ ვინმე გაძარცვეთ?

— არა.

16. დაგიწერიათ თუ არა თხზულებანი?

— ვწერდი წიგნებს, ძალიან ბევრი მიწერია.

17. რა ჰქვია თხზულებებს, რაა თქვენი წიგნების სათაური?

— დავწერე, მაგრამ სათაური დამავიწყდა.

პროკურატურას მაინც არ სჯეროდა კამოს სიგიჟე და უშინოდა, რომ იგი გაიქცეოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან. მიტომ ყოველგვარი ზომები იყო მიღებული, რომ კამო ცხრა კლიტულში ჰყოლოდათ. მაგრამ არაფერმა არ უშველა. კამო მაინც გაიქცა.

კამო, თავის მხრით, მუდამ გაქცევაზე ფიქრობდა, ის უახლოვდება საავადმყოფოს ორ მოსამსახურეს, მიიმხრობს ერთ მათგანს — ბრაგინს, რომელიც ეხმარება მას გაქცევის საქმის მოწყობაში. ამავე დროს კავშირს აბამს გარეთ მყოფ ამხანაგებთან, რომელთაც შემდეგ ბარათს უგზავნის:

„მართლა ხომ არ გგონიათ, რომ მე გავგიჟდი? თავს ვიგიჟიანებ. მაწამებენ. შემდგომი ტანჯვა აუტანელი ხდება. ხსნა გაქცევაშია. არ მინდა მოვკვდე საპატიმროში. ეცადეთ მოაწყოთ გაქცევა. მინდა ვიმუშაო პროლეტარიატის სასარგებლოდ“.

ამასთან ერთად კამომ გამოგზავნა გაქცევის გეგმაც. გახურდა მუშაობა გაქცევის მოსაწყობათ. ამაში უშუალოდ მონაწილეობას ღებულობდენ კ. ცინცაძე, ბ. მდივანი, კამოს დები—ჯავაირა და არუსიაკ პეტროსოვები.

ოფიციალური საბუთები მოკლედ ასე გვიხატავენ გაქცევას:

ტერ-პეტროსოვმა ფეხისადგილში გასვლა ითხოვა. იმ დროს, როდესაც მოსამსახურე ცოტახნით მოშორდა ტერ-პეტროსოვს, ის გადახტა ფეხისადგილის პირველი ოთახის —პირისაბნის ფანჯრიდან. რკინები ერთ მანაში გამოტეხილი იყო. გარედან ეს ფანჯარა 2 ნახ.—3 საჟ. სიმაღლეზეა მიწიდან. ტუსაღი ფანჯრიდან დაშვებულა წვრილი ბაწრით, რომელიც იქვე ეგდო ძირს, ფანჯრის ქვეშ; იქვე იყო რამდენიმე თხელი ბეწვა ხერხი და სხვ.

ეს მოხდა 1911 წ. 15 აგვისტოს.

კ. ცინცაძეს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან, საიდანაც კარგად სჩანდა კამოს კამერა, უნდა ენიშნებია მისთვის ის მომენტი, როცა ახლო-მახლო არავინ არ იქნებოდა. კ. ცინცაძე აძლევს ნიშანს: სამჯერ აქნევს თეთრ ცხვირსახოცს. ხუთი წუთის შემდეგ ფანჯრიდან ეშვება ბაწარი. კიდევ წამი და ბაწარს მოყვება კამო სრიალით. კამოს ბაწარი უწყდება და ეცემა მიწაზე. მაგრამ ჩქარა დგება და მიიმართება მდინარისაკენ. გადის ვერის ხიდქვეშ და ადის სანაპირო ქუჩაზე... გაქცევის შემდეგ პირველ დღეებში, როცა მთელი ხელისუფლება და პოლიცია ფეხზე იდგა, კამო იმალებოდა ველიამინოვის ქუჩაზე, თვით თბილისის პოლიცმეისტერის სამმართველოს ერთ-ერთ სასარდაფო სადგომში.

მალე კამო ამხანაგებმა საიდუმლოდ საზღვარგარედ გააგზავნეს. მისი გაქცევის ორგანიზატორები შეიპყრეს და გადაუწყვიტეს კატორღა.

უცხოეთში ყოფნა და დაბრუ

ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა კამო უცხოეთში. ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო პარიზსა და პოლონეთში, მოხვდა სტამბოლში, ცხოვრობდა კონსპირატიულ მოსაზრებით ქართველ კათოლიკე ბერებთან და რაღაცა დიდ აქტებს ამზადებდა ამიერ-კავკასიისათვის.

ზოგი ცნობა კამოს საზღვარგარედ ყოფნის შესახებ ჩვენ ვიცით ვილაც მიხეილ ორლოვის დასმენის წერილიდან, რომელიც გამოგზავნილია თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის სახელზე უკვე კამოს საქართველოში დაბრუნების და მისი შეპყრობის შემდეგ. ორლოვი სხვათა შორის სწერს:

„გავიგე გაზ. „კავკაზსკი კრაიდან“, რომ ქ. ტფილისში დაპატიმრებულია ვიღაც კამო, სომეხი — ექსპროპრიატორი... კამო ჩამოვიდა თუ არა აქ, ევროპიდან, დაიჭირეს საბაჟოში თურქეთის ხელისუფლების აგენტებმა. იგი განთავისუფლებული იქნა ქართველ კათოლიკე ბერების შუამდგომლობით, ხოლო ყუმბარებს, რომელიც მას აღმოაჩნდა, კონფისკაცია უყვეს. ხსენებული კამო ერთხანს დაესახლა ზემოხსენებული მონასტრის სახლში პაპასკუპრიში, ბერებმა მისცეს მას თავიანთი მეგობრის—ერთი ბულგარელის პასპორტი და გაგზავნეს ბულგარეთში ყუმბარების შესაძენად, ხოლო შემდეგ, რუმინეთით რუსეთში, კავკასიაში წამოსასვლელად... როგორც ხმები დადის, კამო სტამბოლიდან წამოსვლის დროს ბერებს დიდ ფულად დახმარებას დაპირდა სემინარიის ასაშენებლად“. და სხვა.

როგორც ჩანს, კამო ტფილისში ჩამოვიდა 1912 წლის ზაფხულში და ჩამოიტანა ასაფეთქებელი ნივთიერებანი და იარაღი.

ერთხელ, — მოგვითხრობს კამოს დამცველი, ამხ. ბებურიშვილი,—როცა შინ დავბრუნდი, გავიგე, რომ მე მელოდება ვიღაც უცხოელი. შევედი თუ არა, ჩემს შემოსაგებებლად წამოდგა სათვალებიანი, ძალიან კოხტად ჩაცმული კარგი შავგვრემანი კაცი. ამ უცხოელში არ იყო არც ერთი ნაკვთი რაც კამოს მოგაგონებდათ; მიუხედავად ამისა, ეს კამო იყო. მაშინ ის დარჩა ჩემთან ერთ კვირამდე. სახლიდან გამოდიოდა ღამღამობით და ეწეოდა გამძაფრებულ არალეგალურ მუშაობას. გრიმი იმდენად კარგად ქონდა გაკეთებული, რომ უახლოესი ადამიანებიც ველარ ცნობდენ. მაგრამ კამოს გარშემო, ეტყობოდა, მოღალატენი გაჩენილიყვნენ. სასტუმრო „ჩრდილოეთ ნომრების“ ახლო, სადაც ის იყო გაწერილი, უკვე ფილერების ჯგუფები დაფუსფუსებდნენ.

ტფილისის ჟანდარმთა სამმართველომ ძალიან კარგად იცოდა კამოს ჩამოსვლის ამბავი, რაც მან დაუყოვნებლივ შეატყობინა თავის განყოფილებებს.

კოჯორის საქმე

მალე კამოს ჩამოსვლის შემდეგ, 1912 წ. 24 სექტემბერს კოჯორის გზატკეცილზე, ქალაქიდან სამი ვერსის დაშორებით მოხდა თავდასხმა ტფილისიდან მიმავალ ფოსტაზე. ეს აქტი თავდამსხმელთათვის მარცხით გათავდა. განგაშის და სამაგიერო სროლის ატეხის შემდეგ, ისინი გაიქცნენ ფულის წაუღებლად.

ამუშავდა ოხრანკა. 1912 წ. 1 იანვარს და პატიმრებულ იქნა 18 კაცი, მათ შორის კამოც.

1913 წ. 9 თებერვალს შებორკილი კამო მიიყვანეს ტფილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში მისი სულიერი მდგომარეობის შესამოწმებლად. მაგრამ ეს უკვე უბრალო ფორმალობა იყო. სიმულიაციის ამბავი გავრცელდა: მიხეილის საავადმყოფოდან გაქცევის და რამოდენიმე ექსის შემდეგ, კამოს ველარაფერი იხსნიდა. მეტეხიდან გაქცევის ცდა ჩაიფუშა. 1913 წ. 2 მარტს კამოს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. მაგრამ ის აქაც მოულოდნელად გადარჩა. რუსეთში რომანოვების მეფობის სამასი წლის მანიფესტის გამო, სიკვდილით დასჯა შეცვლილ იქნა ოცი წლის კატორღით. 1915 წ. მარტში, კამო გადაიყვანეს ხარკოვის საკატორღო ციხეში. მან ტფილისიდან ხარკოვში გადაყვანის დროსაც სცადა გაქცევა. მაგრამ ეს ცდაც სრულიად უმნიშვნელო გარემოების გამო ჩაიფუშა.

განთავისუფლება

დაიწყო ხანგრძლივი,მტანჯველი ერთგვარი ცხოვრება საკატორღო ციხეში. თითქმის გაქრა განთავისუფლების ყოველგვარი იმედი.

კამო საკატორღო ციხიდან გამოგზავნილ წერილებში მუდამ ამშვიდებს მახლობლებს თავის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის შესახებ. ის აქ ხშირად იმეორებს: „მე კარგად და მხნედ ვარ“, „მე ჯანმრთელად და მხნედ ვარ, ველი უკეთეს მომავალს“, „მე რკინის აგებულება მაქვს და ყველაფერს ავიტანო“ და სხვ.

მაგრამ აი დგება 1917 წლის თებერვალი. კამო მღელვარებას ვერ მალავს. რატომ არ ანთავისუფლებენ მას? ნუ თუ დაავიწყდათ ის ამხანაგებს? ვის ხელშია ხელისუფლება?

კამო ფხიზლად აფასებს მაშინდელ პოლიტიკურ სიტუაციას და უკმაყოფილოა იმით, რომ ხელისუფლებას ბურჟუაზია დაეპატრონა. 1917 წ: 5 მარტს ის სწერს თავის დებს, რომ ძველი წყობილება შეიცვალა ახლით, მაგრამ ამისაგან კარგს არაფერს ელის, რადგან არა სჯერა რა იმ ადამიანების, რომელნიც ხელისუფლებას ჩაუდგენ სათავეში. „მე ჯერ არ გამოუშვივარ და არც ვიცი, გამიშვებენ თუ არა, თუმცა ყველამ იცის, რომ მთელი ჩემი საქმიანობა რევოლიუციონურ მიზნებს ემსახურებოდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, თუ მე არ გამანთავისუფლეს, თქვენ არ იდავიდარაბოთ და არავის არაფერი თხოვოთ ჩემს შესახებ. თუ ისინი დამივიწყებენ, მით უკეთესი ჩემთვის და მით უარესი მათთვის“...

მაგრამ კამოს მოუთმენლობას ბოლო მოეღო: 6 მარტს ე. ი. ამ წერილის დაწერის მეორე დღეს კამო გაანთავისუფლეს ხარკოვის საკატორღო ციხიდან.

კამო რევოლიუციის შემდეგ

კამო განთავისუფლების შემდეგ 1917 წ. აპრილში ჩამოვიდა ტფილისში. ხანგრძლივ ტანჯვას ვერ მოეხარა მისი ძლიერი პიროვნება, მაგრამ ფიზიკურად იგი თითქმის გატეხილი იყო.

1917 წ. ივლისში კამო იყო სამკურნალოდ უწერაში (რაჭა). ამ დროს საქართველოში ბატონობდნენ მენშევიკები, რაც კამოს, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა.

კამომ გადასწყვიტა ენახა ლენინი, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა და, რომელსაც ყველაფერში ულაპარაკოდ ენდობოდა. აგვისტოს დამლევს ის წავიდა პეტროგრადში. მაგრამ სწორედ ამ დროს ლენინი ემალებოდა დროებითი მთავრობის აგენტებს,— და კამომ მხოლოდ ამხ. ნ. კრუპსკაიას ნახვა მოახერხა.

1917 წ. დეკემბერში ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების დავალებით კამოს კ. ცინცაძესთან ერთად ისევ მოუხდა ლენინთან წასვლა რუსეთში, მთელი რიგი პრინციპიალური საკითხების გადასაწყვეტად. მიუხედავათ იმისა, რომ იმ დროს ყუბანი და დონი კონტრრევოლიუციის ხელში გადავიდა და ამიერ-კავკასიაში მენშევიკები, ესერები, მუსავატისტები და დაშნაკელები ბატონობდენ, კამო და კ. ცინცაძე მშვიდობიანად ჩავიდენ პეტროგრადში. მათ ინახულეს თავდაპირველად ამხ. სტალინი, ხოლო შემდეგ სტალინი და ლენინი ერთად.

კამო მიხვდა, რომ საჭირო იყო ასე თუ ისე შეგუებოდა ახალი ცხოვრების პირობებს. ამდენ ხანს ის იყო, მ. ორახელაშვილის თქმით, „რევოლიუციის შესანიშნავი ტეხნიკოსი“. მაგრამ რევოლიუციის შემდეგ აღარ უნდოდა ასე დარჩენა, ხოლო ერთბაშად რევოლიუციის „მშენებლად“ გახდომა მას არ შეეძლო, ამისათვის საჭირო იყო მომზადება, ცოდნა და აი კამო იწყებს სწავლას, მაგრამ მისი სწავლა დიდხანს არ გაგრძელდა, რადგან ის მალე სამოქალაქო ომმა ჩაითრია.

ილიჩის თანხმობით კამომ ი. ხუტულაშვილთან ერთად მოაწყო, უმთავრესად კავკასიელებისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც ზურგში უნდა მოქცეოდა დენიკინის ძალებს და გაენადგურებია ისინი.

რაზმი მონაწილეობას ღებულობდა კურსკთან ბრძოლებში. რაზმელებს, კამოს რჩევით თან ქონდათ პაგონები, რომ საჭიროე-

ბის დროს თეთრგვარდიული ნილაბი აეფარებინათ, და მართლაც პაგონები საჭირო შეიქნა. კამოს რაზმელებმა, ვითომ როგორც თეთრებმა დიაკავეს მალოარხანგელსკი.

1919 წ. 3 ოქტომბერს რაზმის ხელმძღვანელი წრე მოსკოვში დაბრუნდა. სათანადო მომზადების შემდეგ კამომ და მისმა ამხანაგებმა გადასწყვიტეს შემოვლოთ დენიკინის ფრონტისათვის ასტრახანიდან, ბაქოდან და საქართველოდან. 28 აგვისტოს რაზმი უკვე ასტრახანში იყო. აქედან რაზმელები, კამოს მეთაურობით ბაქოში შეიდენ ფარულად და შეიტანეს იქ დიდძალი საბრძოლო მასალა.

ბაქოში რაზმის ზოგიერთი წევრები მუსავატისტებმა დააპატიმრეს. მაგრამ მათ მალე მოახერხეს განთავისუფლება ყალბი საბუთების და ქრთამის საშუალებით.

დაიწყეს დენიკინის ჯარებმა საერთო შემოტევა. პარტიულმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა რაზმის გამოყენება აზერბაიჯანში გადატრიალების მოსახდენად. მაგრამ კამოს არ უნდოდა ხელი აეღო პირველივე გეგმაზე. მას უნდოდა გასულიყო ნოვოროსისკში და აეფეთქებია დენიკინის შტაბი.

კამომ გადააწყო მისთვის საჭირო საბრძოლო მასალა და ამხანაგ ქალებს დაავალა მისი გადატანა. ის ფიქრობდა „რომ ქალები უფრო ადვილად წაიღებდენ სამხედრო მასალას, ვიდრე რაზმელები.

წასვლის წინ კამომ გაიკეთა გრიმი და ჩააცვა ჩოხა-ახალუხი. თან პასპორტიც ქონდა თავად წულუკიძის სახელზე. მატარებელი უკვე უნდა წასულიყო. მაგრამ უცბად პლატფორმაზე თავი მოიყარეს ჟანდარმებმა. კამოს გამყოლი რაზმელები შეშფოთდენ.

კამო გამოვარდა ვაგონიდან გულმოსული და გაუჯავრდა ჟანდარმებს:

„ეს რა უმსგავსობაა! ჩემი ვაგონი მოხსნილია. რამდენიც გნებავდეთ და სადაც გნებავდეთ ეძიეთ ეს კამო, მხოლოდ ჩემს ვაგონს ნუ აკავებთო.

მთელს მატარებელში დააპატიმრეს ოცამდე საეჭვო პირი. ყველანი ჟანდარმთა უფროსის კაბინეტში წაასხეს ვინაობის გამოსარკვევად. რამდენიმე წუთის შემდეგ იქვე მიიყვანეს აფიცრის თანხლებით დაპატიმრებული კამო.

ორ საათის შემდეგ შეიკრიბენ ამხანაგები იქ:ზე სათათბიროდ, თუ როგორ ეხსნათ კამო. მაგრამ უეცრად გაიღო კარი და შემოვიდა თვითონ კამო.

— დაგაპატიმრეს სამი კამო, მე კი ბოდიშის მოხდით გამომიშვეს, — სიცილით ამბობდა კამო.

— საიდან გაჩნდი?

— მე არ შემეძლო იმ მატარებლით წავსულვიყავი, სადაც ყველანი კამოზე ლაპარაკობდენ. მე პირველ სადგურშივე ჩამოვხტი და აქ მოვედი ეტლით. ქალები კი წავიდნენ. ეს უკეთესიც არისო.

იმავე საღამოს კამო მეორედ წავიდა ტფილისში. აქ ის და მისი ამხანაგები მენშევიკებმა დააპატიმრეს. კამო ჩასვეს მეტეხში.

ორი თვის პატიმრობის შემდეგ კამო განთავისუფლებულ იქნა იმ პირობით, რომ უნდა ოცდაოთხ საათში დაეტოვებინა საქართველოს საზღვრები.

კამო დაბრუნდა ბაქოში. წითელი არმია თანდათან უახლოვდებოდა ამიერ-კავკასიას. გასაპირში ჩაეარდნილმა დენიკინელებმა მოლაპარაკება გამართეს მენშევიკებსა, დაშნაკებსა და მუსავატისტებთან, რომელნიც ყველაფერზე თანხმდებოდენ, ოღონდ თავიანთი პოზიციები გაემაგრებიათ მოახლოვებული ოქტომბრის წინაღმდეგ...

გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები დენიკინის დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ. კამომ გადასწყვიტა ჩაეფუშა კონტრრევოლიუციონერთა სამხედრო შეთანხმება და ამ მიზნით აეფეთქებია დელეგაციის წევრები. კამომ შესაფერის ადგილებზე დააყენა რაზმელები (რაზინი, აგოლი და ნოვიკოვი). აფეთქება მოხდა გენერალ-გუბერნატორის სახლის ახლოს 20 მარტს დილის 11 საათზე. აფეთქების ადგილზე შეპყრობილ იქნა ნოვიკოვი, რომელიც გმირულად დაიღუპა საღრჩობელაზე.

მუსავატისტურმა მთავრობამ მოსახლეობას მიმართა ბაქო დაეცვა წითელი არმიისაგან. მოწოდების საპასუხოდ მუშებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. 27 აპრილს, ღამის 12 საათზე კამოს გეგმის თანახმად აფეთქება უნდა მომხდარიყო ხუთ სხვადასხვა ადგილას ქალაქში. ეს აფეთქება სიგნალი იქნებოდა შეიარაღებული გამოსვლის დასაწყებად.

— ძალიან გთხოვთ მოერიდოთ ზედმეტ სისხლის ღვრასო, — უთხრა კამომ ამხანაგებს გამოთხოვებისას.

მაგრამ 11 საათზე პარტიის სამხარეო კომიტეტი უკვე მოლაპარაკებას აწარმოებდა მუსავატისტებთან ხელისუფლების ნებაყოფლობით ჩაბარების შესახებ. ღამის 3 საათსა და 30 წუთზე მუსავატისტები დანებდენ.

პარტიის დადგენილებით აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ კამოს რაზმი დაშლილ იქნა. კამო წავიდა მოსკოვში და ისევ შეუდგა სწავლას. ვლადიმერ ილიჩმა მოიწონა მისი განზრახვა და ურჩია მომზადებულიყო გენერალური შტაბის აკადემიაში შესასვლელად.

ლეგენდარული, „მაგრამ უკოზო“ ადამიანი

კამო იყო არა მარტო „რევოლიუციის ტეხნიკოსი“. ის იყო მისი არტისტი. მის შესახებ, ამხანაგებს შორისაც კი, ბევრი ლეგენდა დადიოდა. ის მართლაც ლეგენდარული, მაგრამ ამავე დროს სრულიად უბრალო, გულკეთილი, ყოველგვარ პოზას მოკლებული ადამიანი იყო.

კამოს პიროვნების ლეგენდარულობა მის თანამედროვეთა და შთამომავლობისათვის მეტიდროდ და ლოლიკურადაა დაკავშირებული ნამდვილ წამებასთან, რომელიც მან ნებაყოფილობით მიიღო თავის თავზე ბერლინის საავადმყოფოებსა და ტფილისის საპატიმროში. მ. ტოროშელიძის სიტყვით, შლისელბურგის ციხის პატრიარქს ნიკოლოზ მოროზოვს უთქვამს კამოსთვის: „მე ვარჩევდი ისევ გავატარო ციხეში მარტოდმარტო ოცდაოთხი წელიწადი, ვიდრე განვიცადო შენს მიერ გადატანილი ტანჯვა სამი წლის განმავლობაშიო“.

და აი, ასეთი ბრძოლის ცეცხლში გავლილი რევოლიუციონერი, რომელიც მთელი ათი წელიწადი სიკვდილს ებრძოდა, მთელი თვეების განმავლობაში უჭმელი და უძილარი, კატორღით და ავადმყოფობით მოღლილ-მოქანცული, — ნამდვილად, გამოუკლებლივ ყველას მოწმობით, უაღრესად გულუბრყვილო და მხიარული ადამიანი იყო. კამოს ეკუთვნის ეს შესანიშნავი სიტყვები, რომელიც მოყვანილია ამხ. მ. ტოროშელიძის მოგონებებში: „დედამიწა იცინის, როცა მასზე დავდივარ: იგი ჩემს სიცოცხლეს შეხარისო“.

კამო, რომელიც მრისხანედ ეკლინებოდა ხელისუფალთ და კლასობრივ მტერთ უაღრესად ნაზი, ლმობიერი და მზრუნველი იყო არა მარტო ახლობლებისადმი. არამედ ყველასადმი. კამო არ ივიწყებდა მცირეოდენ სამსახურსაც კი, რომელსაც მას უწევდენ, როგორც რევოლიუციონერს. მას ში განსახიერებული იყო ნამდვილი პროლეტარული დიდსულოვნება.

თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ის ჩემთან მსახურობდა საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატში და განაგებდა საბაჟო საქმეს. კამო მთელი თავის ენერგიით მიეცა იმ საქმეს და სულ ძალე სრული წესიერება დაამყარა საბაჟო სამმართველოში.

იმ საბედისწერო დღეს ამხ. კამო ფიქრიანი იჯდა ჩემთან კაბინეტში. ცოცხალი ფიქრები სულს. მას არ აკმაყოფილებდა მუშაობა ამ მეურნეო ფრონტზე. ის იყო შექმნილი რევოლიუციონურ ქარიშხლებისათვის. მას უნდოდა მონაწილეობა მიეღო დასავლეთის თუ აღმოსავლეთის, რომელიმე სახელმწიფოს რევოლიუციის მოშზადებაში. ამისათვის ვინახავ თავს, — ამბობდა ის, — მე კიდეე უნდა ვიცოცხლო ასი წელიწადი და ვიბრძოლო. თავს ვუფრთხილდები, არ ვსვამ ღვინოს, ღამეებს არ ვტეხ, ძალლონე ჯანმრთელობა შევინარჩუნე, რატომ არ უნდა ვიცოცხლო დიდხანსო. მან გადმომცა, რომ დილას იყო პარტ. ტფ. კომიტეტში მორიგი ანკეტის შესავსებად. გამ ეზაეინეთ ახალგაზრდობაში სამუშაოდ—ამბობ და ის, — მე მათ რევოლიუციონურად აღვზრდი. მე თქვენ მოგიმზადებთ ახალგაზრდა, ფოლადისებურ რევოლიუციონერთა კადრებს.

ვინ იფიქრებდა, რომ ეს ადამიანი, რევოლიუციის ნამდვილი გმირი, ამდენი საშინელი დევნის გადამტანი საბედისწერო შემთხვევის გამო რამდენიმე საათის შემდეგ აღარ იქნებოდა?

იმავე დღეს საღამოს ველოსიპედით შინ დაბრუნებისას ის დაიღუპა ელბაქიძის (ყ. ვერის) დალმართზე. ფიქრობენ, რომ კამოს დაღუპვის უშუალო მიზეზი იყო აფეთქების დროს დაშავებული თვალი: ამ თვალის ხედვის არე შეეიწროვებული იყო. კამოს ვერ გაითვალისწინა მანძილი, რომელიც აშორებდა მას გამოქანებულ ავტომობილისაგან...

ბ. ბიბინეიშვილი

— **ამერიკის ბურჟუაზია სხვადასხვა ხერხების საშუალებით ცდილობს** მასების ყურადღება ჩამოაშოროს გამძაფრებულ ეკონომიურ კრიზისს. ამ მიზნით ის იყენებდა და იყენებს სპორტსაც. ამ რამდენიმე ხნის წინად ამერიკის ბურჟუაზიამ ჩაატარა დიდი ინტერნაციონალური სასპორტო შეჯიბრებები.—ოლიმპიადა. ამის წინაღმდეგ კომპარტიამ ჩიკაგოში მოაწყო პროლეტარულ რევოლიუციონურ ფიზკულტურელების საერთაშორისო შეკრება.

სურათზე—პროლეტარულ ფიზკულტურელების დემონსტრაცია ნიუ-იორკში პლაკატზე: „ბოიკოტი ოლიმპიადას! წინ მუშა-ფიზკულტურელების საერთაშორისო შეკრებაზე!“.

ბრძოლა ტვირთების მტაცებლობის წინააღმდეგ ტრანსპორტზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეკეთებიდან გამოსაშვებ ვაგონის ღერძის ყელის გასინჯვა

ძლევამოსილი სოციალისტური შეტევით შეიწროებული კლასიური მტერი გაშმაგებით იბრძვის ის თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის და სიკვდილის წინ უკანასკნელად კიდევ სცდილობს ზიანი მიაყენოს ჩვენს დიად სოციალისტურ აღმშენებლობას, ის არ ერიდება ბრძოლის არავითარ საშვალებას. პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ იარაღით ხელში აქტიურ ბრძოლაზე დამარცხებული, ის ეხლა გადავიდა ფარული ბრძოლის მეთოდებზე—მავნებლობაზე და ძარცვა-გლეჯაზე. მაგრამ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები მტკიცედ დადგენ საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების ხელუხლებლობის სადარაჯოზე და რეოლიუციონური სისასტიკის მახვილი მოიმარჯვეს კლასობრივი მტრის ასალაგმავად. საკავშირო მთავრობის 7 აგვისტოს დადგენილება **საზოგადოებრივი** (სოციალისტური) საკუთრების დაცვის შესახებ სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

დღეს ჩვენი სასამართლო ორგანოები გართული არიან იმ საქმეების გარჩევით, რომლებიც ეხება სოციალისტური საკუთრების ხელუხლებლობის დარღვევას.

მრავალია ასეთი საქმე და განსაკუთრებით საგულისხმოა ისინი ტრანსპორტის ხაზით. და ეს გასაგებიც არის, ტრანსპორტი (რკინის გზა) მთავარი არტერიაა, რომლის საშუალებით ჩვენი სახალხო მეურნეობა იღებს სოციალისტური მშენებლობისათვის საჭირო საღმშენებლო მასალებს და ტვირთებს. მძარცველებიც სწორედ ამ მთავარ გამტარებელ არტერიის გარშემო იყრიან თავს და ირაზმებიან იმისათვის, რომ გზა შეუცვალონ სოციალისტური მშენებლობისათვის დანიშნულ ტვირთებს, გაანიავონ იგი.

ტრანსპორტზე უკვე რამოდენიმე საქმე აირჩა ამგვარი ძარცვა-გლეჯის შესახებ. ყველა ამ პროცესებზე გამოირკვა, რომ ტრანსპორტზე ძარცვა-გლეჯა ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს. თითქმის ყოველ, მსხვილ საკვანძო სადგურზე ჩამოყალიბებულია მძარცველთა ორგანიზაციები, რომელთა წევრებს მტკიცედ აქვთ განაწილებული როლები ურთიერთშორის და მოქმედებენ წინასწარ შემუშავებული გეგმების მიხედვით. მძარცველ-ბანდიტების გარშემო თავს იყრიან ყველა ჯურის ბნელი და ანტისაბჭოთა ელემენტები, თვით გზის ზოგიერთ დეკლასიურ და გადაგვარებულ აგენტებამდე.

„ჯიგანი"-ს მემკვიდრენი სტალინისში

აბობოქრებული რეოლიუციონური ტალღები ეხეთქებიან ძველი ცხოვრების დახავსებულ კლდეებს. ჩვენში კიდევ ბლომად მოიპოვებიან ძველი, შავბნელი წარსულის ნამემკვიდრეები ელემენტები, რომელთაც ბიო-ფიზიოლოგიური კანონის თანახმად ჭამა სურთ, ხოლო შრომას კი შეჩვეულნი არ არიან. მათ უფრო ეხერხებათ „იოლი შრომით" ცხოვრება. ეს „იოლი შრომა" კი შავბნელით არის მოცული. ის ემყარება ძარცვა-გლეჯაზე, მშრომელთა დოვლათის მითვისებაზე. **რევოლიუციის აზვირთებული ტალღები** ნაპირზე რიყავს ასეთ ელემენტებს და ისინი გარეწარად დაძრწიან და უნიადაგონი, დასალუპად განწირულნი სიკვდილის წინ შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან.

„ჯიგანი" არის მთავარი გმირი ხმოვანი ფილმის—ახალი ცხოვრებისაკენ" ის ორგანიზატორია მძარცველთა ხროვის, რომელიც უსახლკარო ბავშვებისაგან შესდგება. „ჯიგანები" წარსულის ატრიბუტებია. მათ აქა-იქ კიდევ ვხვდებით.

ერთ-ერთმა „ჯიგანმა" ამ რამოდენიმე ხნის წინად მოიკალათა სტალინისის რკინის გზის კვანძზე **კოლკა მარტინენკოს** სახით.

სტალინისი ამ.-კავ. რკინის გზების მნიშვნელოვანი კვანძია. ის ატარებს აღმოსავლეთით თუ დასავლეთით მიმავალ ტვირთებს. კოლკამაც იგი აირჩია თავის სამოქმედო ასპარეზად. კვანძზე ბლომად მოიპოვებოდენ უსახლკარო მცირეწლოვანები, რომლებიც მანამდე წვრილმან ინდივიდუალურ ქურდობას ეწეოდენ. კოლკამ განიზრახა ამ „უსისტემოდ გაბნეულ მასალის" თავმოყრა. მათი ორგანიზაცია და „მსხვილი საქმეების კეთება:

ერთ დღეს ის თავს უყრის ამ ბალღებს და ეუბნება—„ბიჭებო დროა თავი ანებოთ წვრილმან საქმეებს, უმჯობესია გადავიდეთ უფრო სერიოზულ საქმიანობაზე"-ო.

აქედან იწყება მძარცველთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება. მისი სამოქმედო ასპარეზია— სტალინის - სამტრედიის უბანი. ბევრი ძვირფასი ტვირთით სავსე ვაგონი გატეხილა და დაცლილია კოლკას ორგანიზაციის ხელით. ბევრ ტვირთს ვერ მიულწეია

საღმშენებლო მასალებით დატვირთული მატარებლის აღწერა გაშვების წინ

დანიშნულ ადგილისათვის და სხვა გზით ჭასული.

კოლკა ატამანი იყო ამ ბანდის. თვით არ „ისვრიდა“ ხელს. ის უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი მოგზაურობდა „თავის უბანზე“ და იძლეოდა „დირეკტივებს“ „ოპერატიულ მუშაობისათვის“ ყავდა თანაშემწე **შიჩკოვი.** აგენტურაც მალე გაიჩინა. ყოველი სულმოკლე და უპრინციპო ელემენტი ადვილად ეგება ასეთი ბინძური საქმეების ანკვეზზე და ასეთი ელემენტებიც გამონახა კოლკამ სტალინისის კვანძის ულირს რკ. გზელების ბარამოვის, ჩიკვაიძის და სხვ. სახით.

სტალინისში ერთ პატარა დარაბაში 62 წლის მოხუც **ზაქარია მონაშეროვს** წაღების შესაკეთებელი სახელოსნო ჰქონდა გახსნილი. იგი შრომის ინვალიდად ირიცხებოდა და უფასო პატენტით სარგებლობდა. ამ. თითქოს უწყინარ, ინვალიდ მოხუცთან მძარცველთა ბანდამ საუკეთესო თავშესაფარი ჰპოვა. ინვალიდის სახელოსნო მის კონსპირატიულ ბინად გადაიქცა.

ზაქარიამ ნაძარცვის გასაღებაში თავისი შვილი აბრამი ჩაბა. თვით კი ჩაეჭიდა ორგანიზაციის სადავეებს და თავისკენ იწყო მათი წევა, სულ მალე ის გახდა „ატამანი“, ხოლო დანარჩენები მისი მონა-მორჩილი და ნებასურვილების ამსრულებელნი ზაქარიას სიტყვა „ბეჭედი“ იყო, ზაქარიას სურვილი-კანონი. მან საათიერით ააწყო საქმე. იცოდა როდის რა საქონელი უნდა მისვლოდა. ხშირი იყო, რომ ის ღამის 1—2 საათამდე უცდიდა თავის აგენტებს. ლოდინი იშვიათად თუ გაუტკბებოდა. უმეტესად მიზანი მიღწეული იყო. ნადავლი, როგორც იტყვიან. „თავის ფეხით მოდიოდა“ დანიშნულ დროზე.

პროლეტარულმა სასამართლომ რევოლიუციონური კანონიერების მთელი სისასტიკით დასაჯა **ზაქარია, შიჩკოვი და ბარამოვი,** როგორც სოციალისტური ქონების ძარცვა-გლეჯის აქტიური ორგანიზატორები სტალინისის კვანძზე.

„ატამანი“ კოლკა მარტინენკო საპატიმროში ავად გახდა და მოკვდა. მხოლოდ ერთჯერ მოასწრეს მისი წაკითხვა.

ასე დამთავრდა ამ ბანდის საქმე.

საექსპორტო ქიშმიში მიზანში

არანაკლებ მნიშვნელოვანი კვანძია ა.-ბ. რკინის გზაზე ნავთლული. სამი მხრიდან წამოსული ტვირთები აქ იყრის თავს. კახეთის და სომხეთის ხაზები აქედან იღებენ თავის სათავეს. აზერბეიჯანის მაგისტრალიც მასზეა გაწოლილი. და ის აირჩია თავის სარბიელად მძარცველთა მეორე ჯგუფმა 8 ბანდიტის შემადგენლობით, **მიხ. ყარდა შევის** მეთაურობით. მიზანში კი სომხეთიდან საექსპორტოდ გამოგზავნილი ქიშმიში აიღო. მეთოდი მძარცველებს ერთი აქვთ: ვაგონების მტვრევა დამღების, აგლეჯით. აქაც უშინაკაცოდ საქმე არ მიდის. საჭიროა კაცი, რომელმაც იცის გზის წესები და კუნჭულები. ეს ჯგუფი ასეთს შტატის რკინის გზელებში ვერ პოულობს და მაშინ თავის წრიდან აყენებს ასეთ კანდიდატს. ეს არის **ალაკიშინურ-ოღლი,** რომელიც შედის საბარგო კონდუქტორად რკინის გზაზე, ეცნობა გზას, მის წესრიგს, მალე „ეუფლება ტეხნიკას“ და ბანდის სულის ჩამდგმელი ხდება.

სამხედრო აეროპლანები ბაფიცულების წინააღმდეგ



— **ამერიკელ ძემაღაროეთა ბრძოლა.** ინდიანას შტატში უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება მემაღაროეთა გმირული ბრძოლა. მაღაროების პატრონებმა შტრეიკბრეხერების საშუალებით განიზრახეს მუშაობის განახლება, მაგრამ 3000 მუშამ ალყა შემოარტყა მაღაროებს და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას, რომელიც შტრეიკბრეხერებს ახლდა. ბრძოლა გაგრძელდა 6 საათს, სანამ გაფიცულებს არ გაუთავდა ტყვიები. გაფიცვის რაიონში, შტატის გუბერნატორის განკარგულებით, გაიგზავნა რეგულიარული ჯარები და სამხედრო აეროპლანების გუნდი, რომელმაც გაზიანი ყუმბარები დაუშინა გაფიცულთა ბანაკს. სურათზე—სამხედრო აეროპლანებს გუნდი გაფიცულთა ბანაკისათვის ყუმბარების დაშენის შემდეგ.

საქმე გაჩარხულია. მძარცველები მოქმედებენ განუკითხავად. „თაფლი იყოს და ფუტკარი ბალდათიდან მოვა“-ო, ამბობს ხალხური ანდაზა. ბანდიტები, რომელთაც „თაფლი“ ბლომად მოსდით, „ფუტკარსაც“ მალე შოულობენ. შულავერელი ყოფ. ვაჭრები: სარქის ბალდასაროვი, ალაბეგ არუთინოვი და სხვები მზად არიან ემსახურონ მძარცველთ ნადავლის გასაღებაში—იქაური ვე კულაკი სიდრაკ სარქისიანცი საბჭ. ხელისუფლებაზე განაწყენი—სიამოვნებით ეღებს თავის სახლის კარებს სოციალისტური ქონების მავნებელთ და აძლევს თავშესაფარს ნადავლის დასაწყობად და გასანაწილებლად.

წელიწადზე მეტს თარეშობდა ეს ბანდა რკინის გზაზე და აკეთებდა თავის ბნელ საქმეებს.

პროლეტარულმა სასამართლომ მათაც ბოლო მოუღო. ბანდიტები დასჯილ იქნენ რევოლიუციონური კანონიერების მთელი სისასტიკით.

ყოფ. თავადი და ექვსი ტომარა საცვლები

რევოლიუციამ წაართვა ძველი დიდება და მოუსპო უზრუნველი ცხოვრება თავადაზნაურულ წოდებას. მისი ნაშთები დღესაც ბოგინობენ ამ სოფლად. მათ უმძიმთ ძველი წარსულის დავიწყება, შრომას ვერ შეგუებიან და ეძებენ ისეთ საქმეს. რომელიც არც ისე დიდ ძალას დაატანს მათ „ეკეთილშობილ“ ჭედს და თანაც ცოტაოდნავად მაინც ძველებურად აცხოვრებს.

ასეთი გახლდათ, სხვათაშორის, **ვლ. ვაჩნაძე**—საქართვ. ყოფ. „ბრწყინვალე“ წოდების წარმომადგენელი“. შესული ექსპედიტორად წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტეტში და დაჭერილი საცვლების ქურდობაში თბილისის საქონლის სადგურზე.

როგორც გამოირკვა „თავადმა“ სისტემად და პროფესიად გაიხადა საქონლის სადგურიდან ტვირთების პარვა მისივე კოლეგის საქკოოპტრანსის ექსპედიტორი **პოლიტა ნეფარიძესთან** ერთად.

ეს ორი გმირიც გაასამართლა პროლეტარულმა სასამართლომ და დასაჯა ისინი რევოლიუციონური კანონიერების მთელი სისასტიკით — **დახვრეტით.**

ასე უსწორდება პროლეტარული მართლმსაჯულება ყველა მათ, ვინც ბედავს ხელი შეახოს ჩვენს სოციალისტურ საკუთრებას.

ან. კელ

ანგრევენ ფაბრიკა-ქარხნებს

— **გერმანიის სახელმწიფო საკრედიტო საზოგადოების** 1932 წლის პირველი ნახევრის ანგარიში აღიარებს გერმანიის მრეწველობის პროდუქციის შემდგომ დაცემას. საბრეწველო პროდუქცია 50 პროცენტით შემცირდა 1928 წელთან შედარებით. იხურება ახალ-ახალი ფაბრიკა ქარხნები. მიწის გადასახადის გადახდის თავიდან ასაცილებლად მრეწველები ანგრევენ საწარმოებს. სურათზე—ხემნიცის უდიდესი სამანქანათმშენებლო ქარხნის—ე. წ. „საქსონიის ქარხნის“ (წინად რიხარდ ხარტმანის ქარხანა) დანგრევა. ამ ქარხანაში მუშაობდა 20.000 კაცი.

ფიზკულტურა და სპორტი



ბათუმი. ამხ. ლ. ბერიას სახელობის წყლის სადგური. ნავების გუნდი სტარტის წინ.

თბილისი. დინამოს სტადიონი. გადახტომა სიგრძეზე, გაქცევით.

თბილისი. პიონერების კულტურისა და დასვენების პარკი. ბასკეტბოლის თამაში.

თბილისი. ქალთა ვოლეიბოლის გუნდების თამაში.



ბათუმი. წყლის სადგური. ჩაბარება ნიშნების: მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— **კაპიტალისტები მოითხოვენ „მსხვერპლს“ პროლეტარიატისაგან. საგანგებო** დეკრეტებით, რომლებიც უკანასკნელი თვეების განმავლობაში უხვად ქვეყნდება გერმანიაში, არაჩვეულებრივად შემცირებულია მუშათა ხელფასი და სოციალური დაზღვევა, მშრომელ მასებს დაეკისრა ახალი საგადასახადო ტვირთი, ხელოვნურად გადიდებულია ფასები სასოფლო-სამეურნეო საქონელზე (მემამულეთა და კულაკების მოთხოვნით). უკანასკნელი საგანგებო დეკრეტით ფონ-პაპენის მთავრობამ კაპიტალისტებს აჩუქა 3 მილიარდი მარკა. ყველაფერი ეს ტარდება ლოზუნგით: „ყველა სოციალურმა ფენებმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გაჭირვების ტვირთიო“. სურათებზე—1) კაპიტალისტი ეუბნება მუშას: „მაშ ასე, თანაბრად გავინაწილოთ საგადასახადო ტვირთი“. 2) საგანგებო დეკრეტი უკანასკნელ ლიტრ რძეს ართმევს მუშათა ბავშვებს (ფოტომონტაჟი კლინჩის.

— **მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან** დაკავშირებით ამერიკის კომპარტია ატარებს ფართო სააგიტაციო კამპანიას. სურათზე—უმუშევრებს მიაქვთ პლაკატი ამხ. ფოსტერის (კომპარტიის კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე) და ამხ. ფორდის (ზანგი, კომპარ... ანდიდატი ვიცე-პრეზიდენტის



— **კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომ ლი მასების** გულისყური და მისწრაფებები მიპყრობილია საბჭოთა კავშირისაკენ—სოციალისტურ სამშობლოსაკენ. ყოველდღიურად საბჭოთა კავშირში ბრუნდებიან ცარიზმისა და ბურჟუაზიული პარტიების ბატონობის დროს გადახვეწილი მშრომელები. ბრ ნდებიან სოციალისტურ სამშობლოში აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებში გადასახლებ ლი სომეხი მშრომელები. სურათზე—სალონიკის ნავთსადგურიდან (საბერძნეთში) საბჭოთა სომხეთში ბრუნდებიან საბერძნეთში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზ. „კომუნისტი“-ს ხტამბა. ტფილისი, კამოს ქ., № 68 მთავლიტი 1219. ტირაჟი 6000